1937 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

2–3 საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის გამომცემლობა—„კომუნისტი“ 1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1504

ჟურნალის გარეკანზე

გრიგორ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

დაიბადა 1886 წ.	გარდაიცვალა 1937 წ.
28 ოქტომბერს	18 თებერვალს

ლეგენდარული მებრძოლი

სერგო ორჯონიკიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ აუწერელი მწუხარება გამოიწვია თვითეული მშრომელის გულში, თვითეული ახალგაზრდის ნორჩ გულში...

ოთხიოდე თვის წინათ მთელი საბჭოთა კავშირი ზეიმობდა საყვარელი ბელადთაგანის ამხ. სერგოს დაბადებიდან 50 წლის შესრულებას. ყველა დიდის ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა მის შესანიშნავ მოღვაწეობას, მის გმირულ, თავგანწირულ ბრძოლებს, დაუღალავ შრომას, სანიმუშო და მისაბაძ ცხოვრებას.

და აი დღეს აღარ გვყავს ეს მგზნებარე რევოლუციონერი... დღეს აღარ სცემს მისი მაჯა... შეჩერდა მისი შინაარსიანი ცხოვრება... მაგრამ არ შეჩერდება ის საქმე, რომელსაც იგი შეეწირა. არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას მისი გმირული ცხოვრება და მოღვაწეობა.

ის ხომ ახალგაზრდობიდანვე უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი იყო ბოლშევიკური პარტიის ბელადების: ლენინისა და სტალინისა. ის ხომ მათი ხელმძღვანელობით და მათთან ერთად იბრძოდა თავისუფლების მოპოვებისათვის. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, საქართველოში თუ აზერბეიჯანში, რუსეთში თუ საფრანგეთში, მიყრუებულ სოფელში თუ უზარმაზარ ქალაქში, ნესტიან ციხეში თუ გადასახლებაში,—ყველგან, ყველგან ერთ მიზანს ემსახურებოდა, ეს იყო ბრძოლა მუშათა კლასის საქმისათვის. და ეს ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუჩერებია მას.

ამხ. სერგოს მოღვაწეობა მარტო რევოლუციური მუშაობით და სამოქალაქო ომებში თავგანწირული ბრძოლებით როდი ამოიწურება. ამხ. სერგო უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარი იყო. და დღეს თუ ჩვენი ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიალური ქვეყანაა, ეს ამხ. სერგოს უდიდეს დამსახურებას უნდა მიეწეროს. ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამხ. სერგომ არნახული სწრაფი ტემპებით განავითარა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობა.

ამხ. სერგოს ხშირად ნახავდით ამათუიმ წარმოებაში, ამათუიმ საამქროში; ხშირად ნახავდით ამათუიმ სტახანოველთან საუბარში გართულს. ის არაჩვეულებრივ მზრუნველობას იჩენდა თვითეული მუშისადმი, თვითეული თანამშრომლისადმი.

ამხ. სერგო ჯერ კიდევ დიდს, ძალიან დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, რომ უეცარ სიკვდილს უდროოდ არ გამოეტაცა იგი თავისი საყვარელი საქმისათვის. მის სუსტ ჯანმრთელობაზე განსაკუთრებით იმოქმედა ტროცკისტული ხროვის ჯაშუშობამ და გამცემლობამ. მისთვის აუტანელი გახდა თვალთმაქცი პიატაკოვისა და მისი ბანდის მოღალატური მუშაობა. შეირყა მისი ჯანმრთელობა და უდროოდ შეწყდა ამ შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე.

გაივლის წლები, გაივლის საუკუნეები, მაგრამ დავიწყების ბურუსში არ გაეხვევა მისი სახელი. ამხ. სერგოს სპეტაკი სახე მარად ჩაუქრობელი შუქით იკაშკაშებს მომავლობათა გულში.

2021

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲬᲣᲗᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

1

ეს იყო გასული წლის დამლევს.

მირზაჩულსკის რაიონის სოფელ ორლოვსკის მესამე არასრულ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საშეფო ქარხნის მუშებისაგან საჩუქრად პატეფონი მიიღეს.

მაგრამ დახე უბედურებას!

ბავშვებს არ აქვთ პატეფონის ნემსები.

დიდხანს იფიქრეს მათ, ვისთვის მიემართათ ნემსებისათვის, და გადაწყვიტეს ამის შესახებ წერილი მისწერონ ამხ. ორჯონიკიძეს.

მართლაც ასე მოიქცნენ. მოსწავლეები ამხანაგ სერგოს სწერდნენ, რომ მათ არა აქვთ ნემსები და რომ პატეფონი უმოქმედოდაა. ხომ არ დაგვეხმარებითო?

არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ბავშვებმა პასუხი მიიღეს. მალე სკოლის მისამართზე ამანათიც მოვიდა: გახსნეს ის და რას ხედავენ: პატეფონის 30 ფირფიტა და რამდენიმე კოლოფი ნემსები.

ეს ამანათი ამხანაგმა სერგომ გამოუგზავნა მათ, ორლოვსკის მოსწავლეებს.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს რკინისგებურ სახალხო კომისარს და დაჰპირდნენ, რომ ფრიადზე ისწავლიდნენ.

2

ამხანაგი ორჯონიკიძე მუდამ ასე სიყვარულით ეკლებოდა თავს ბავშვებს. იგი გაცხარებული მუშაობის წუთებშიაც კი ყოველთვის პოულობდა დროს, რათა პასუხი გაეცა პიონერებისათვის წერილებზე, ალერსიანად მიეღო პიონერთა დელეგაციები და საჭირო დახმარება აღმოეჩინა მათთვის.

აი რას იგონებს ამხანაგ ორჯონიკიძესთან შეხვედრაზე მოსკოველი პიონერი გოგონა ზინა ვიშნიაკოვა.

„... დიდხანს გვინდოდა ახლოს გვენახა ჩვენი შეფი—ამხანაგი ორჯონიკიძე, გამოვლაპარაკებოდით მას. და აი, ბოლოს, შემთხვევა მოგვეცა.

ჩვენი სკოლა № 12 ბანაკში უნდა გამგზავრებულიყო. ბავშვები მოუთმენლად ელოდებოდნენ ამ მომენტს. პიონერხელმძღვანელები კი შეშფოთებულები იყვნენ. შეფი—მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ფულს არ იძლეოდა. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ბოლოს მოვიფიქრეთ: წავსულიყავით ამხანაგ ორჯონიკიძესთან. წავედით ოთხნი: შკალინა, ილინი, ვიშნევეცკი და მე. ჩვენ მოგვცეს საშვი. ამასთან ასე სასაცილოდ წააწერეს: „ვიშნევეცკი და მასთან სამი პიონერი“. ჩვენ ამის გამო კაბინეტამდე სულ ვიცინოდით. დაგვიძახეს კაბინეტში. ჩვენ იქ ვათვალიერებდით ჟურნალს,—ბევრი ჟურნალი იყო. ვათვალიერებდით და ვერ შევამჩნიეთ, თუ როგორ გაიღო ჩუმად კარი და შემოვიდა ამხანაგი ორჯონიკიძე. ჩვენ დავინახეთ იგი და დავიბენით.

—თქვენ ჩემთანა ხართ, პიონერებო?—გვკითხა მან.

—თქვენთან,—ვუპასუხეთ ჩვენ.

—ყოჩაღ, ყოჩაღ,—წაილაპარაკა მან და მაგრად ჩამოგვართვა ხელი.

ჩვენ მას ვუამბეთ, რომ უბანაკოდ ვრჩებით. მან გვიპასუხა, რომ ჩვენ ბანაკში გავემგზავრებით და ყველაფერი მოეწყობა. იგი კიდევ დიდხანს გველაპარაკა, მაგრამ სიხარულისაგან ყველაფერი როდი დაგვამახსოვრდა.

18 ივლისს ჩვენი ბავშვები ბანაკში გაემგზავრნენ. იქ ჩვენ კარგად ვცხოვრობდით“.

3

მეტად საყურადღებოა ვალოდია სუსლოვის მოგონებაც.

იგი ნორჩი ელექტროტექნიკოსია. სწავლობს ხარკოვის № 119 სკოლაში. იგი თავის მუშაობაში წააწყდა დიდ სიძნელეებს. ელექტროავტომობილის კონსტრუირებისას მან ვერსად ვერ იშოვა მოტორი და ინსტრუმენტები. ვალოდიამ გადაწყვიტა წერილი გაეგზავნა ამხანაგ ორჯონიკიძისათვის. წერილთან ერთად მან თავისი მომავალი ელექტროავტომობილის ნახაზებიც გაგზავნა.

„... გავიდა ერთი თვე, და აი კლასის ხელმძღვანელი თედორე პროკოფის-ძე—გადმოგვცემს ვალოდია —უცებ მეცადინეობის შემდეგ მეუბნება, რომ მე შევიარო სკოლის დირექტორთან. ნუთუ რამე დავაშავე?—ვფიქრობ მე,—თითქოს არავითარ დანაშაულს არა ვგრძნობ.

დირექტორთან მითხრეს, რომ თედორე პროკოფის-ძესთან ერთად წავსულიყავი ჩემი ქარხნის დირექტორ ამხანაგ სვისტუნთან.

წავედით.

პანტელეი ივანეს-ძე სვისტუნი მეკითხება:

—შენ ხარ პიონერი სუსლოვი?

—მე ვარ...

—ამხანაგ ორჯონიკიძეს მისწერე წერილი?

—მივწერე.

აღმოჩნდა, რომ ჩემი წერილი მისულიყო. მოსკოვში ნახეს ნახაზები. სწორედ ამ დროს იქ იყო ამხანაგი სვისტუნი. ამხანაგი ორჯონიკიძე ეუბნება მას:

—შენ გყავს პიონერი სუსლოვი, რომელიც ელექტრობაზე მუშაობს. აი გადაეცი მას მოტორი, მიეცი საშვი ქარხანაში შესასვლელად და საერთოდ დაეხმარე მას.

მითხრა რა ეს, ამხანაგმა სვისტუნმა გადმომცა შესანიშნავი პატარა მოტორი, თვით სახალხო კომისრის მიერ გამოგზავნილი. მოტორზე კი იყო დაფა წარწერით: „ვალოდია სუსლოვს“.

ფურცლები პუშკინზე



შ. გვინჩიძე

თავისუფლების მომღერალი

◇ ◇ ◇

— გამარჯობა, თაობავ ახალგაზრდა, უცნობო! — ასე აწერია პუშკინის ერთ ძეგლს, რომელიც დადგმულია ოსტაფიევოს პარკში — ვიაზემსკის ყოფილ მამულში. თითქოს პირდაპირ სამარიდან ხმას აწვდის ეს დიადი ადამიანი ჩვენს თაობას და ესალმება მას. და ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობაც პასუხობს:

— გაგიმარჯოს, პუშკინ!

ვინ არის ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი? — რუსი გენიალური პოეტი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როგორც თვითონ ამბობს, „მკაცრ უჟამურ დროს“, ალექსანდრე I-ის და ნიკოლოზ I-ის მეფობის ხანებში.

ლიცეიში

8 წლისა იქნებოდა ალექსანდრე, როდესაც დაეწაფა წიგნების კითხვას, კითხულობდა მეტწილად ფრანგულ ენაზე. ღამღამობით შეიპარებოდა მამის ბიბლიოთეკაში და მთელ საათებს ატარებდა წიგნის კითხვაში; ადრე დაიწყო პატარა ალექსანდრემ აგრეთვე ლექსების წერა. ლოგინში ჩაწოლილი ხშირად გვიანამდე არ იძინებდა ხოლმე. — ლექსებს ვთხზავო, — პასუხობდა, როდესაც ჰკითხავდნენ უძილობის მიზეზს.

12 წლის პუშკინი მშობლებმა ლიცეიში შეიყვანეს. ეს იყო ახლადგახსნილი დახურული სასწავლებელი ცარსკოე სელოში (დეტსკოე სელო, ხოლო პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით ეწოდა პუშკინო), სადაც მოსწავლეებს უნდა ესწავლათ 6 წელი და გამოსულიყვნენ მეფის რუსეთის მსხვილი მოხელეები.

პუშკინი ბავშვობიდანვე ფიცხი, ანცი და მოუსვენარი იყო. მწარე ენისათვის ბევრ ამხანაგს არ უყვარდა, მაგრამ ჰყავდა ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც მისი ნამდვილი მეგობრები იყვნენ, მაგ. პუშჩინი, დელვიგი, კუხელბეკერი. პუშკინი ლიცეიში ძალიან ბევრს მუშაობდა. კითხულობდა წიგნებს, წერდა ლექსებს. ამ ყმაწვილის ნაკითხობით განცვიფრებული იყვნენ. განცვიფრებული იყვნენ აგრეთვე იმ ლექსებით, რომლებსაც იგი ათავსებდა ლიცეის ხელნაწერ ჟურნალებში. 1815 წ. იანვარში გამოცდაზე პუშკინი გამოვიდა თავისი ლექსით „მოგონებანი ცარსკოე სელოში“. სტუმრებს შორის იყო ცნობილი პოეტი მოხუცი დერჟავინი. თავისი ლექსით პუშკინმა ყველა აღაფრთოვანა. დერჟავინმა სიამოვნების ცრემლები ვეღარ შეიმაგრა, მოეხვია ბავშვს და წამოიძახა:

— აი ვინ შეცვლის დერჟავინს!

1816 წლის გაზაფხულიდან ლიცეისტებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ცარსკოე სელოში მდგომ ლეიბ — გვარდიის გუსართა ლეგიონის ოფიცრებს. პუშკინი დაუმეგობრდა ოფიცრებს კავერინს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუროვს, ჩაადაევს. განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა მასზე ჩაადაევმა. ჩაადაევი იყო იმ დროის ერთერთი შესანიშნავი ადამიანი, ფილოსოფოსი, პოლიტიკურად კარგად მომზადებული. ეს ოფიცრები მთავრობისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. მათგან პუშკინი გაეცნო არალეგალურ ლიტერატურას, შეითვისა რევოლუციის პოლიტიკური იდეები.

ერთი მაგალითი:

ერთხელ სასახლის ბაღში შეძვრა აწყვეტილი დათვი. ამ დროს ალექსანდრე I დასეირნობდა იქ, და აი წააწყდა ამ დათვს. დამფრთხალმა მეფემ თავს უშველა გაქცევით. ყველაფერი აფორიაქდა. დათვი სასწრაფოდ მოკლეს. ყველა ოხრავდა, „ღმერთმა იხსნა მეფეო“, პუშკინმა კი თქვა: ერთი კეთილი კაცი აღმოჩნდა, და ისიც დათვი გამოდგაო.

პეტერბურგში

1817 წ. პუშკინმა და მისმა ამხანაგებმა დაამთავრეს ლიცეი. პუშკინი პეტერბურგში მოეწყო სამსახურში საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის მოხელედ. წელიწადში 700 მან. დაუნიშნეს.

პეტერბურგში პუშკინმა ხელი მიჰყო ქეიფსა და დროსტარებას, მაგრამ ამავე დროს ახერხებდა საღამოების. გატარებას ჩაადაევთან სერიოზულ საუბრებში, ანდა მაშინდელ ცნობილ პოეტ კარამზინთან. კიდევ მეტი—ახერხებდა წერასაც, ერთიმეორეზე ამთავრებდა თავისი შესანიშნავი ნაწარმოების „რუსლან და ლუდმილას“ თავებს. როდესაც პუშკინმა „რუსლან და ლუდმილა“ დაამთავრა, სასახლის პოეტმა ჟუკოვსკიმ აჩუქა თავისი პორტრეტი წარწერით: „გამარჯვებულ მოწაფეს დამარცხებული მასწავლებლისაგან“.

პეტერბურგში ცხოვრება პუშკინისათვის კატასტროფით გათავდა. აქ დაწერა მან პოლიტიკური ლექსი „თავისუფლება“. ამბობენ, ეს ლექსი დაწერილია ფონტანკაზე იმ სახლში, საიდანაც მოიხსნა სასახლე, რომელშიაც მოკლეს იმპერატორი პავლეს.



ა. პუშკინი. მხატ. ნ. კუზმინისა.

ამ ლექსის ხელნაწერში ჩახატულია კალმით პავლე I-ის სახე. ლექსი აშკარად მიმართულია მეფე ალექსანდრე I-ის წინააღმდეგ, რომელსაც პუშკინი უქადის პავლეს ბედს. „თვითმპყრობელო მტარვალო! —ამბობდა ამ ლექსში 18 წლის პუშკინი—მძულხართ შენც და შენი ტახტიც. შენს დაღუპვას, შენი ბავშვების სიკვდილს მე უღრმესი სიხარულით შევხვდები“.

პუშკინის ლექსებმა დიდად გაარისხა მეფე ალექსანდრე პირველი.

მან გადაწყვიტა, თავიდან მოშორების მიზნით, პუშკინის ციმბირში ან სოლოვკაში გადასახლება. მაგრამ დატრიალდნენ პუშკინის მეგობრები, მათ შორის პოეტი ჟუკოვსკიც, და სასჯელი შეუმსუბუქეს. პუშკინი გადაგზავნეს სამხრეთ რუსეთში გენერალ ინზოვის განკარგულებაში.

გადასახლებამდე ხმა გავრცელდა: პუშკინი ჩუმად გაროზგესო. ამით უნდოდათ მისი დამცირება.

მეგობრებმა, როგორც იქნა, დაამშვიდეს გაცეცხლებული პუშკინი, და იგი გაემგზავრა სამხრეთ რუსეთში.

სამხრეთრუსეთში

პუშკინი ჩავიდა ეკატერინოსლავში და გამოცხადდა გენერალ ინზოვთან. აქ პუშკინი დაბინავდა გარეუბანში, ერთი ღატაკი ებრაელის ქოხში. დღისით დაეხეტებოდა მახლობელ ტყეში, უქმე დღეს დადიოდა ბაზრობაზე და ისმენდა ჩამოსული გლეხების სიმღერებს, რომელთაც იქვე იწერდა. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ პუშკინი ავად გახდა მალარიით. ავადმყოფი პოეტი მონახა ეკატერინოსლავში რაევსკის ოჯახმა. ნიკოლოზ რაევსკი, ოფიცერი, პუშკინის მეგობარი იყო. ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა პოეტი, რაევსკი ძალიან შეწუხდა. სთხოვა ინზოვს ნებართვა და თან წაიყვანა პუშკინი კავკასიის წყლებზე. აქედან პუშკინი ყირიმში ჩავიდა. ყირიმიდან შეიარა ბახჩისარაიაში და შემდეგ გაემგზავრა კიშინოვში, სადაც ამ დროისათვის გადავიდა ინზოვი.

ჯაშუშები კვალდაკვალ დასდევდნენ პუშკინს. მისმა მეგობრებმა იცოდნენ, რომ პოეტს თვალყურს ადევნებდენ, ამიტომ მას არ ლებულობდნენ ფარულ საზოგადოებაში, ამ დროისათვის კი ფარულ საზოგადოებას—„კეთილდღეობის კავშირს“ ორი განყოფილება ჰქონდა. ერთი განყოფილების ცენტრი პეტერბურგში იყო, მეორისა—სამხრელების—ტულჩინოში. სამხრელებს მეთაურობდა დეკაბრისტი პესტელი. პუშკინი დიდად აფასებდა პესტელს. აქვე ნახა პუშკინმა პეტერბურგელი გენერალი ორლოვი, რაევსკის სიძე, ესეც „კეთილდღეობის კავშირის“ წევრი. ორლოვის ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინმა გაიცნო ოფიცრები, კიშინოვის რევოლუციური უჯრედის წევრები. აქვე შეხვდა თავის ძველ მეგობარსაც, დეკაბრისტ იაკუშკინს. ამრიგად, პუშკინი შეთქმულთა შორის ტრიალებდა. ერთხელ სოფელ კამენკაშიც იყო, სადაც ფარული საზოგადოების წევრები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ, ვითომდა საქეიფოდ. ამ თავყრილობაზე პუშკინი დარწმუნდა, ფარული საზოგადოება ან უკვე არსებობს, ანდა ახლა ჩაეყრება მას საფუძველი, და იგი უკვე ამ საზოგადოების წევრად თვლიდა თავს. მაგრამ მთელი იმ დღის საუბარი მეგობრებმა ხუმრობად გამოაცხადეს. იმედგაცრუებულ პუშკინს ცრემლები წასკდა და თქვა: „მე ასე უბედური არასოდეს არ ვყოფილვარ“. იგი უკვე ოცნებობდა, რომ მის წინ ახალი ცხოვრება გადაიშალა, და უეცრად აღმოჩნდა, რომ ყოველივე ეს ხუმრობა იყო.

ა. პუშკინის ძეგლი დეტსკოე სელოში.

○

რატომ არ შეყავდათ პუშკინი ფარულ საზოგადოებაში?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მეგობრებმა იცოდნენ, თუ როგორ ადევნებდა თვალყურს მთავრობა გადასახლებულ პუშკინს. პუშკინი საზოგადოებაში რომ მიეღოთ, ამით ჯაშუშებს გზა გაეხსნებოდათ ფარული საზოგადოების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, ერიდებოდნენ პუშკინის ფიცხ ხასიათს. გაცხარებულ კამათში პუშკინს ადვილად წამოსცდებოდა საზოგადოების საიდუმლოებანი. ბოლოს, დეკაბრისტები პუშკინს უფრთხილდებოდნენ როგორც ნიჭს, არ უნდოდათ მათთან ერთად ასეთი გენიალური ადამიანიც დაღუპულიყო. პუშკინი, დეკაბრისტების აზრით, ისედაც დიდ საქმეს აკეთებდა ფარული საზოგადოებისათვის: მისი პოლიტიკური ლექსები „თავისუფლება“, „სოფელი“, „ჩაადაევს“, „ხანჯალი“, რომლებშიაც იგი თავისუფლებას უმღეროდა და სასტიკად ამათრახებდა თვითპყრობელობას, მისი მწარე ეპიგრამები მეფესა და მის დამქაშებზე ხელიდან ხელში გადადიოდა და მთელს რუსეთს მოედვა.

კიშინოვში პუშკინმა დაწერა ბევრი ლირიკული ლექსი, პოემა „კავკასიის ტყვე“, მოამზადა „ძმები ყაჩაღები“ და „ბახჩისარაიას შადრევანი“, დაწერა პოემა „გავრილიადა“.

კიშინოვიდან პუშკინი ოდესაში გადაგზავნეს. აქ იგი შეხვდა თავის უფროსს—გრაფ ვორონცოვს, რომელზედაც დაწერა მწარე ეპიგრამა. ვორონცოვი ვერ ითმენდა პუშკინს. იგი მასში ხედავდა თვითმპყრობელობის დაუძინებელ მტერს. ამის შესახებ მან არაერთხელ მისწერა მეფეს. და აი ვორონცოვმა პეტერბურგიდან მიიღო მოწერილობა ცუდი ყოფაქცევისათვის პუშკინის სამსახურიდან დათხოვნისა და დაუყოვნებლივ პსკოვის გუბერნიაში, მშობლების მაძულში გადასახლების შესახებ.

1824 წ. 30 ივლისს პუშკინი გადაასახლეს სოფ. მიხაილოვსკოეში, პსკოვის გუბერნიაში.

სოფ. მიხაილოვსკოეში

სოფ. მიხაილოვსკოეში პუშკინი დატოვეს მამის ეთვალყურეობით. მეტად მიყრუებული სოფელი ვიატიგორის მონასტრის მახლობლად, სახლი პატარა, ღარიბულად მორთული, ხევზე გადამდგარი, შორს ტბა, ირგვლივ ტყე—ასეთი იყო პუშკინის ახალი გადასახლების ადგილი.

მამას არ გახარებია შემჩნეული შვილის ჩასვლა. მალე მამა და შვილი წაიჩხუბნენ. მამამ დააბეზღა შვილი—მცემაო, შემდეგ გადათქვა—ცემა უნდოდაო. ამას შეიძლებოდა ის მოჰყოლოდა, რომ პუშკინს დაამწყვდევდენ მონასტრის საპყრობილეში.

მალე მშობლები მოაცილეს პუშკინს. პუშკინის ირგვლივ ყველაფერი დაწყნარდა. ბუნებაც კი გაინაბა. განსაკუთრებით ზამთარში იყო აუტანელი აქ ცხოვრება. მხოლოდ ქარბუქის ზუზუნი თუ გაის-

მოდა ხოლმე ამ ქვეყნისაგან მოწყვეტილ სოფელში. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ათბობდა პუშკინის გაწამებულ და დაიარავებულ გულს თავისი მშობლიური ზრუნვითა და რუსული ხალხური ზღაპრებისა და სიმღერების თქმით,—ეს იყო მისი მოხუცი აღმზრდელი არინა როდიონოვნა. „რა მშვენიერებაა ეს ზღაპრები!—აღტაცებით სწერდა მეგობრებს პუშკინი,—ყოველი მათგანი პოემაა... აღმზრდელი—ტატიანას აღმზრდელის ორიგინალია, იგი ერთადერთი ჩემი მეგობარია და მხოლოდ მასთან არა ვარ მოწყენილი“...

უქმე დღეებში პუშკინი ჩაიცვამდა ხოლმე რუსულ წითელ ხალათს და წავიდოდა მახლობლად მდებარე სვიატიგორის მონასტერში ბაზრობაზე, პუშკინი უსმენდა ბრმა მათხოვრებს და იწერდა მათ სიმღერებს.

ა. პუშკინის გულითადი მეგობარი ი. პუშჩინი

ხმაურობას, მოძრაობას, დიდძალ საზოგადოებას ჩვეულ პუშკინს სული ეხუთებოდა სოფელში და მის წინაშე კვლავ აღიმართა გადაწყვეტილება საზღვარგარეთ გაქცევის შესახებ. აწარმოებდა მიწერ-მოწერას მეგობრებთან, ემზადებოდა გასაქცევად, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც პუშკინს ესტუმრა ამ მიყრუებულ სოფელში—ეს იყო მისი მეგობარი პუშჩინი.

აღსანიშნავია, რომ მშფოთვარე ქალაქს მოწყვეტილმა პოეტმა აქ თავისი ნიჭი გაშალა და შექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: პოემა „ბოშები“, ისტორიული ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“. ამ ტრაგედიით თვით პუშკინიც უსაზღვროდ კმაყოფილი დარჩა. წაუკითხა თავისთავს ეს შესანიშნავი ხაწარმოები და აღტაცებულმა დაიყვირა:

— ვაშა, პუშკინ! ვაშა!

მეფესთან „შერიგება“

დეკაბრისტების აჯანყების წინადღეებში პუშკინი მოემზადა პეტერბურგში ფარულად გასამგზავრებლად. როდესაც გაიგო, რომ დეკაბრისტები დამარცხდნენ, მან სასწრაფოდ დაწვა ბევრი წერილი, სხვადასხვა ქაღალდი: იგი დაპატიმრებას მოელოდა.

1826 წლის სექტემბერში პუშკინი მოსკოვში გამოიძახეს. მან გაიფიქრა: მაციმბირებენ.

პოეტი სასწრაფოდ მიჰგვარეს მეფე ნიკოლოზ I-ს. ნიკოლოზს უნდოდა, პუშკინი როგორც მტერი თვითმპყრობელობისა, სხვა დეკაბრისტების მსგავსად კატორღაში გაეგზავნა. ამავე დროს ფიქრობდა: შეიძლება ჩემს მხარეზე გადმოვიყვანო ეს პოეტიო.

მაგრამ პუშკინმა როდი დაუმალა თავისი ღრმა თანაგრძნობა დეკაბრისტების მიმართ. მან პირდაპირ განუცხადა მეფეს: 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგს რომ ვყოფილიყავი, აჯანყებულებს მივემხრობოდიო. თან შესჩივლა—ჩემს უწყინარ ლექსებსაც კი არ მიბეჭდავენო. მეფემ პოეტს გამოუცხადა, თვითონ მე ვიქნები თქვენი ნაწარმოებების ცენზორიო. ეს გადაწყვეტილება თავდაპირველად მიღებული იყო როგორც მეფის მოწყალება, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ეს „მოწყალება“ ბორკილებზე უფრო მძიმე იყო.

მეფე მოითხოვდა მონურ მორჩილებას, პოეტს მიუჩინა ჟანდარმი ბენკენდორფი. მის ნებადაურთველად პუშკინს უფლება არ ჰქონდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გამგზავრებულიყო, არ შეეძლო არც რაიმეს დაბეჭდვა.

1826-27 წლები პუშკინმა მოსკოვში გაატარა. აქ დაწერა „მიმართვა დეკაბრისტებს“:

ბნელი ციმბირის წიაღში ბუდობს
უდრეკი თმენა შხამით ნალესი,
ნურც თქვენი შრომა ნუ გაამრუდოს,
ნურც მისწრაფება უმხურვალესი!

ბორკილის მტვრევა ჩვენ მოგვიხდება,
დაირღვევიან ციხის კარები,
თავისუფლება წინ დაგიხვდებათ
და ძმები მახვილს ჩაგაბარებენ.

(თარგმანი **პ. იაშვილისა**)

1827 წ. პუშკინს ნება დართეს პეტერბურგში დაბრუნებულიყო. პეტერბურგი დაცარიელებული იყო. პუშკინის მეგობრები კატორღაში იტანჯებოდნენ.

1829 წელს პუშკინი მეფის ნებადაურთველად გაემგზავრა კავკასიის მოქმედ არმიაში, სადაც იმ დროს ბლომად იყვნენ ჯარისკაცებად განწესებული დეკაბრისტები. ამ მგზავრობამ გამოიწვია მეფის უკმაყოფილება და ბენკენდორფის მკაცრი საყვედური.

პუშკინი 1830 წლის სექტემბრის დამდეგს მიემგზავრება ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის სოფელ ბოლდინოში. სამ თვეს სოფელში ყოფნა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო პუშკინის შემოქმედებისათვის. მან აქ დაამთავრა „ევგენი ონეგინი“, რაზედაც მუშაობდა 7 წელზე მეტ ხანს. ბოლდინოშივე დაწერა პუშკინმა „სახლი კოლომნაში“, „ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიერი“, „ქვის სტუმარი“, „ლხინი ჭირიანობის დროს“, „ბელკინის მოთხრობები“, „სოფელ გორუხინოს ისტორია“, აუარებელი ლირიკული ლექსი და კრიტიკული სტატიები.

1830 წლის ზამთარს პუშკინმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ბოლდინოს და 1831 წლის 18 თებერვალს მოხდა მისი ქორწინება ნატალია გონჩაროვასთან. მალე პუშკინი პეტერბურგს გადავიდა.

პოეტი მიისწრაფოდა დიდი შემოქმედებითი მუშაობისაკენ, მაგრამ პეტერბურგში ახალი ცხოვრების პირობები ხელს უშლიდა მის გულდასმითს მუშაობას, აღელვებდა მას, მის ყურადღებას სხვა მხრისკენ მიმართავდა მაღალ წრეში ცოლის ტრიალი, პოლიციის განუწყვეტელი თვალყურის დევნება. „მაღალი საზოგადოების“ და მთავრობისეული პრესის დევნა პუშკინს შემოქმედების საშუალებას არ აძლევდა. პოეტი მიისწრაფოდა სოფლისკენ, მაგრამ მეფე მას ძალით აჩერებდა პეტერბურგში.

1830 წელს პუშკინი ხოლერით გამოწვეული ჯანყის მოწმე იყო. ამავე წელს მთელი რიგი აჯანყება მოხდა ნოვგოროდის გუბერნიის არაქჩეევის სამხედრო მოსახლეობებში. ამ აჯანყებებიდან პუშკინის აზრი ბუნებრივად მიიპყრო პუგაჩოვის აჯანყებამ, რომელიც მოხდა ნახევარი საუკუნის წინ და რომელმაც რუსეთის იმპერია შეარყია. პუშკინი შეუდგა პუგაჩოვის აჯანყების მასალების შეგროვებას და ამ მიზნით ინახულა ყაზანი, ორენბურგი, ურალსკი, სტანიცა ბერდი, სადაც იყო პუგაჩოვის მთავარი ბანაკი. ამ მუშაობის შედეგი იყო „პუგაჩოვის ისტორია“ (რომელსაც ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ეწოდა „პუგაჩოვის ჯანყის ისტორია“), და „კაპიტნის ქალიშვილი“. გლეხთა აჯანყებების თემამ გამოსახულება ჰპოვა აგრეთვე მოთხრობა „დუბროვსკში“. 1834 წლის მარტს გამოდის პუშკინის ერთერთი საუკეთესო პროზული ნაწარმოები „პიკის ქალი“.

1834 წლის დამდეგს მეფემ პუშკინს „უბოძა“ სასახლის კამერიუნკრის სახელწოდება, რასაც ჩვეულებრივ არისტოკრატ ახალგაზრდებს აძლევდნენ ხოლმე. ეს იყო მეფის მიერ რუსეთის დიდი პოეტის ერთხელ კიდევ აბუჩად აგდება. საქმე ის იყო, რომ პუშკინის ცოლი ნატალია, ქალი იშვიათი სილამაზისა, შეუყვარდა მეფე ნიკოლოზ I. და აი, სწორედ იმისათვის, რომ ნატალიას ჰქონოდა სასახლეში სიარულის საშუალება, მის ქმარს კამერიუნკრობა უბოძეს.

პუშკინი თან უნდა წაჰყოლოდა ცოლს სასახლეში ბალებზე, მას ფული უნდა ეშოვა ცოლის მოსართავად, იგი ვალებში უნდა ჩახრჩობილიყო.

პუშკინის ოჯახური საქმეები კიდევ უფრო გართულდა, როდესაც მის ცოლს არშიყობა დაუწყო ვინმე ფრანგმა დანტესმა, რომელიც სამშობლოდან გამოიქცა 1830 წლის რევოლუციის დროს.

პუშკინი მოუსვენრად ცხოვრობდა. დანტესის ქცევა აუტანელი იყო. თავის მხრივ მეფის მსახურნი ხელოვნურად ქმნიდენ და აღვივებდნენ კონფლიქტს პუშკინსა და დანტესს შორის. მაგალითად, ერთ ბალზე სასახლეში პუშკინის უკან მდგომმა ერთმა ოფიცერმა პუშკინის თავზე ასწია ორი თითი რქებივით გაშლილი — შეხედეთ, რქიანია, ცოლი ღალატობსო.

ა. ს. პუშკინი. ნახ. ტომას რაიტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბედისწერო დუელი

...წამომჯდარი, ცალ ხელზე დაყრდნობილი უმიზნებდა იგი დანტესს.

ყოველივე ეს აღმაშფოთებელი ცილისწამება იმით დამთავრდა, რომ პუშკინმა დუელში გამოიწვია დანტესი. ცხადია, მეფემ იცოდა დუელის აკრძალვა, მაგრამ მას არავითარი ზომა არ მიუღია მის ჩასაშლელად. პირიქით, იგი ყოველმხრივ დაინტერესებული იყო რამენაირად თავიდან მოეშორებინა თავისუფლების ეს მომღერალი.

და მართლაც, დუელი შედგა ჩორნაია რეჩკაზე 27 იანვარს. პუშკინის სეკუნდანტი, მისი ძველი მეგობარი პოლკოვნიკი დანზასი აი, როგორ აგვიწერს ამ დუელს:

„ადგილი ამორჩეული იყო, მაგრამ თოვლის დიდი რაოდენობა ხელს უშლიდა მოწინააღმდეგეებს, და სეკუნდანტები იძულებული იყვნენ გაეტკეპნათ ბილიკი... ორივე სეკუნდანტი და ჰეკერენი შეუდგნენ ამ მუშაობას. პუშკინი ჩამოჯდა თოვლიან გორაკზე და გულგრილად შესცქეროდა ამ საბედისწერო მზადებას. ბოლოს გაიტკეპნა ბილიკი, განით ერთი არშინი და ოცი ნაბიჯი სიგრძეზე ..“

შემდეგ მოვუსმინოთ დანტესის სეკუნდანტს გრაფ. დ. არშიაკს:

„...პოლკოვნიკმა დანზასმა ნიშანი მისცა. პუშკინი თავის ბარიერთან იყო, როდესაც ბარონ ჰეკერენმა გადადგა 4 ნაბიჯი იმ 5 ნაბიჯიდან, რომელიც მას დარჩა თავის ადგილამდე“, მოტრიალდა და ესროლა პუშკინს. პუშკინი დაეცა თავის მოსასხამზე, რომელიც ბარიერად იყო დადებული თოვლზე, დაეცა და თავაუღებელი უძრავად იყო რამდენიმე ხ ნს. ბოლოს წამოიწია და თქვა: „მ ო ი ც ა.თ“. იარაღი, რომელიც ხელში ჰქონდა, თოვლიანი იყო. მან მეორე აიღო; წამომჯდარი, ცალ ხელზე დაყრდნობილი უმიზნებდა იგი დანტესს და ესროლა. ტყვია დანტესს მუნდირის ღილზე მოხვდა. ამან გადაარჩინა დანტესი სიკვდილს.

მუცელში მძიმედ დაჭრილი პ უ შ კ ი ნ ი შინ მიიყვანეს.

მომაკვდავი პუშკინის სახლთან დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. კარებს იცავდნენ ჯარისკაცები.

„აქ შეუძლიათ შემოსვლა მხოლოდ პუშკინის მეგობრებს“ — ამბობდა დარაჯი.

ვიღაც ღარიბულად ჩაცმულმა კაცმა უპასუხა:

„მთელი რუსეთი პუშკინის მეგობრებია“.

როგორც გამორკვეულია, შეიძლებოდა პუშკინის გადარჩენა. მეფემ მომაკვდავს მკურნალად დაუნიშნა სასახლის ცნობილი ექიმი. მაგრამ მისი „მკურნალობა“ მეტად უცნაური გამოდგა. მან მეფის დარიგებით მისცა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო წამალი: ოპიუმი, რომელიც ამაგრებს კუჭს, და კუჭის გასაწმენდი ზეთი, რომელიც ასუსტებს კუჭს. ცხადია, ამით პუშკინის სიკვდილი უნდოდათ.

მართლაც, ამ წამლებმა საშინელი ტკივილები გამოიწვია. სიმწარისაგან პუშკინს თვალები გადმოეკაკლა და მეგობრები რომ არ შესწრებოდნენ, თავს იკლავდა. ეს იყო და ეს. მისი ბაგიდან სიკვდილის წუთამდე აღარ აღმომხდარა არც ერთი კვნესა.

○

ძ ე გ ლ ი ა ვ ი გ ე ხ ე ლ თ უ ქ მ ნ ე ლ ი,
მ ა რ ა დ უ კ ვ დ ა ვ ი,
მ ა ს მ ი ა წ ყ დ ე ბ ა ხ ა ლ ხ ი ს დ ე ნ ა
ა ხ ა ლ - ა ხ ა ლ ი...

—ამბობს პ უ შ კ ი ნ ი თავის ლექსში „ძ ე გ ლ ი“.

და მართლაც, დღეს — ოქტომბრის რევოლუციის მეოცე წელს — მილიონი ხალხი თავისუფლად და მხიარულად მიდის დიდი პოეტის „ხელთუქმნელ ძ ე გ ლ თ ა ნ“.

„ჩ ე მ ი ს ა ხ ე ლ ი თ ა ი ვ ს ე ბ ა დ ი დ ი რ უ ს ე თ ი,
ყ ო ვ ე ლ ი ერ ი შ ე მ ი ნ ა ხ ა ვ ს დ ა ნ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ი თ...“

და მართლაც, დღეს, ჩვენს დროში პ უ შ კ ი ნ ი ალაპარაკდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველა ენაზე.

პ უ შ კ ი ნ ი წერდა ხალხისათვის. იგი ოცნებობდა იმაზე, რომ მისი ნაწარმოებები მიწვდება მილიონებს.

იმ ქვეყანაში, სადაც გამეფებული იყო დესპოტიზმი, მეფის შემაძრწუნებელი სისასტიკე, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იყო მონა ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჭა მემამულეებისა, პუშკინს სდევნიდნენ თავისუფლების მღაღადებელი ლექსების წერისათვის.

საბჭოთა ხალხისათვის კი, რომელმაც საკავშირო საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობაზე დაამტკიცა მთელ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატული კონსტიტუცია, ძვირფასია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი პუშკინის ის სიყვარული, რომლითაც გაჟღენთილია მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება.

პუშკინის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღნიშვნა ჩვენი ქვეყნის ხალხთა უდიდეს ზეიმად გადაიქცა. პუშკინის სახელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის კიდით კიდემდე გაისმის; მისი ნაწარმოებები საყვარელ წიგნებად იქცა. პუშკინისადმი ეს დიდი ინტერესი მოწმობს არა მარტო იმას, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდეს კულტურულ ზრდას განიცდის, არამედ იმასაც, რომ გენიალური პოეტის ნამდვილი მემკვიდრენი არიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია.

პუშკინი ჩვენია, სიხარულით, სიცოცხლით მჟღერი სტრიქონები პუშკინის პოეზიისა თანამჟღერია ჩვენი ქვეყნის შვილთა საამური და ბედნიერი ცხოვრებისა.

ა. პუშკინი

ჩაადაევს

იმედის, ტრფობის, ამაყ სახელის
დიდხანს გვართობდა თურმე თილისმა,
გაქრა ბავშვობა გაუძრახველი,
ვით კვამლი, როგორც ნისლი დილისა.
მაგრამ სურვილი დუმს ჩვენში ისევ:
თუმცა მოგვღუნა ბედკრულმა ძალამ,
და მოუთმენელ სულითაც ვისმენთ,
ჩვენმა სამშობლომ რაც დაგვავალა,
ველით, ლოდინით გაფითრებული
ხსნის უწმინდესი ცეცხლის მოდებას,
ვით ახალგაზრდა შეყვარებული
ნეტარ პაემანს მოელოდება.
და სანამ შვების სინათლით ვიწვით
და სინდისს გული ცოცხლად ინახავს,
ჩვენ ჩვენს სამშობლოს შევსწირავთ, ვიცით,
ძვირფასს და წმინდა სულიერ ზრახვას.
შენც, ამხანაგო, გჯეროდეს, მოვა
სხივდანთებული ბედნიერება,
რუსეთს დასტოვებს ძილი და გლოვა,
თვითმპყრობელობის ნამსხვრევთა გროვას,
ჩვენი სახელი დაეწერება.

თარგმანი პ. იაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირ. აბაშიძე

1

მხოლოდ შენი მზე გვერგება,
ძდგარი
სხივთა ზვინებად,
დავიბადეთ—
შეგვეგება
შენი აღორძინება.

2

აღობილა,
დაღობილა
მთების მხრებგაშლილობა,
რა კარგია,
რა ყოფილა
ჩვენი ქვეყნის შვილობა!

3

სკოლებში ვართ,
წიგნი ხელში,
ფრიადებით ქებული,
ხვალ ვიქნებით
შრომის ველში
რაზმად ჩარიგებული.

4

შენი დღენი
მოხარხარე
მოდის, გულში გვაწვება,
ნეტავ მალე მოგახმაროთ
ჩვენი დავაჟკაცება!

5

ჩაი ვკრიფოთ გამთენია,
თუ ვეძებოთ
მადანი?
რა კარგია,
რამდენია
მთებში გამოსატანი!

6

ან მებრძოლად მოგეხმაროთ
ან საზღვრების
ძალადა,
ან კოლხიდის
ფორთოხალით
ავიკიდოთ კალათა!

7

პურიც ბლომად,
ზვარიც ბლომად,
შენი მზე და იერი,
რამოდენა სამშობლო მაქვს
უხვი
და ბედნიერი!

8

რამოდენა სამშობლო მაქვს,
ყვავის,
ფერად-ფერადობს,
შენ დაიხსენ
ხალხთა შრომა,
შენ დიდება, ბელადო!

9

შენ დაგვძახე,
თუ გაბედეს
ჩვენი მტრობა მცირედიც,—
და სამშობლოს
მთებს და ქედებს
ყველა შევეწირებით!

ელ. პოლუმორფვინოვი
ბ. კიკნაძე

გმირები

მდინარე სუნგარის მარცხენა ნაპირზე, რომელიც ულრანი ტყეებითაა დაფარული, ოდესღაც მონადირეებისგან დარჩენილმა ჩაუმქრალმა ცეცხლმა რამდენიმე ათეულ ჰექტარ მიწაზე გადაწვა ტყე. მოშიშვლებულ მიწაზე თანდათანობით სოფელი გაშენდა. წიწვიანი ხეების სიუხვემ ლამაზი ორსართულიანი სახლები წამოჭიმა. ტყის სიმწვანეში ჩასმული სოფელი გადასცქერის სუნგარის დავარდნილ ჭალებს, რომლის გაღმაც ლურჯ ზოლად მოჩანს მანჯურიის ნაპირები.

სოფელში მეთევზეთა კოლმეურნეობაა.

სუნგარს უხვად მოაქვს ზუთხი, ნელმა[1], სტერლიადი[2]. მუყაითი კოლმეურნენი, მუდამ მხიარულნი, თავიანთ საყვარელ შრომას ეწევიან. გაზაფხულზე, როდესაც ყინულის ლოდებად გადაქცეული მდინარე ლღვება და დაიძრება, ბრგე ტანის, გაკაჟებულკუნთებიანი მეთევზეები მდინარეს ათეულ კილომეტრებზე მიჰყვებიან, ბინდისას კი კასრებით ეზიდებიან თევზებს.

სუნგარის ჭალები დაბალი და მსხვილი ტირიფებითაა დაფარული. გაზაფხულობით წყალდიდობისაგან ეს ჭალები წყლით იფარება და შემდეგ მის ჩარჩენილ ტბორებში ბავშვები გემრიელ კარასს[3] იჭერენ.

ახლა ზაფხულია. ოდნავ ანისლული მზიანი დილა ლურჯად გამოკრთის.

თვით სოფელში თითქმის ყოველი სახლის წინ გაშლილია გრძელი ფართე ბადეები, რომელთაც მზეზე აშრობენ.

თევზით გასუქებული და დიადი ბუნების წიაღში ჯანსაღად აღზრდილი ბავშვები დახტიან და თამაშობენ. დროგამოშვებით მისეირნობენ მორიგეობისაგან თავისუფალი მესაზღვრე წითელარმიელნი, რომელნიც თითქმის ყოველ ბავშვს იცნობენ. ისინი მათთან დამეგობრებულები არიან და ასწავლიან ვარჯიშს, ცეკვას, სიმღერებს.

— მიტია! — გადასძახა ერთმა სამხედრომ ბავშვებში მოთამაშე ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭს, რომელსაც ყელზე წითელი ყელსახვევი ეკეთა.

მიტიამ გაიხედა და დაინახა ლეიტენანტი ვესიოლოვი.

ლეიტენანტმა მოალერსე თვალები გადაავლო მას და ღიმილით მიესალმა.

— იყავ მზად!

— მზად ვარ! — უპასუხა ბავშვმა და ნებგაშლილი ხელი კარგახანს შუბლთან ეკავა.

○

მახლობელი სახლის ეზოსთან გამოვიდა შეთეთრებულწვერიანი, დაბალი, მაგრამ ბრგე კაცი და ხმამაღლა დაიძახა:

— მიტია, აქ მოდი!

მიტიამ მამა ხმაზე იცნო, პასუხი არც კი გაუცია, მაშინვე თამაშობა მიატოვა და სირბილით გაექანა მამისკენ.

— ქალაქიდან ბიძაშვილი ვანია ჩამოგვიდა!

ბავშვი სიხარულით შევარდა ოთახში.

— ვანია, ვანია, რა კარგია, რომ ჩამოხვედი! — გამოელაპარაკა მიტია.

ვანია ულიმოდა და შორიახლოს იდგა, ეტყობოდა, ისე გულწრფელად და სათუთად უყვარდა, რომ მიახლოვებაც ეჩოთირებოდა. ისიც პიონერი იყო, მასაც ყელზე წითელი ყელსახვევი ეკეთა. თუ მიტიას ღრმა და ლურჯი თვალები განუწყვეტლივ უბრწყინავდნენ, ვანიას მთელი სახე სიხარულის შუქით იყო ანთებული.

— გავიდეთ გარეთ, ვითამაშოთ!

ვანია გაჰყვა.

— მოსკოვის ამბები მითხარი, მე ძალიან მაინტერესებს.

— რომელი ერთი უნდა გიამბო, იქ ბევრი რამ არის საინტერესო.

— მე აქ ბევრ რამეს განახვებ და ისე გავერთობით, რომ ზაფხული შეუმჩნეველად წაგვივა.

— მით უკეთესი. შემოდგომა უცბათ მოვა. მე უკვე მეექვსე კლასში გადავედი, ახალი წიგნების სწავლას შევუდგებით, მიხარია.

ბავშვები ლაპარაკით ჩაჰყვნენ სოფლის შარაგზას, ამაღლებულ ბექობზე ავიდნენ.

— აგერ, ის მდინარე სუნგარია, — გაიშვირა თითი მიტიამ.

— უუუ, რა დიდია!

— ის კი ხინგანის მთებია!

ვანია გასცქეროდა მდინარესა და მთებს. მის წინ გადაშლილი იყო ბუნების დიადი სანახაობა. ის ამ მხარეში პირველად იყო. მას ენახა მოსკოვის უდიდესი ქარხნები, ტრიოხგორკა, საავტო-სარემონტო, ელექტროქარხანა. მას არ გააცვიფრებდა მსოფლიოში უდიდესი გიგანტის ნახვაც, მაგრამ ამ ნაირფეროვანმა ბუნებამ, ხშირმა და დაბურულმა ტაიგებმა,

1), 2), 3) – თევზებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეულ კილომეტრებზე ზოლად გადაჭიმულმა მდინარემ, მრავალქედიანმა მთაგრეხილმა, ჭალებმა, განუსაზღვრელმა ცამ თითქოს დაამუნჯა, გააბრუა. მხოლოდ გულში იგონებდა ნაცნობ სიმღერას „უსაზღვროა ჩვენი ქვეყანა, ლამაზია და თავისუფალი ჩვენი სამშობლო“...

კარგახანს ორივენი დუმდნენ. მერე ისევ მიტიამ დაარღვია ეს დუმილი.

— აი, იმ მდინარის იქით ჩვენი მტრებია!

— ფაშისტები?!

— არა... ჰო... თუმცა სულ ერთნი არიან... იაპონელი იმპერიალისტები...

— შენ გინახავს?

— ვინ?

— ჩვენი მტრები.

— როგორ არა, რამდენჯერმე. ერთხელ აქ ჯაშუში გადმოპარულიყო, დაიჭირეს, სოფელში ჩაატარეს. მე ჩემი თვალით ვნახე. აი ასეთები არიან: დაბლები, ბრტყელი სახე აქვთ, პატარა თვალები, ცხვირი არც კი უჩანთ;

— ნეტავი მეც ვნახავდე, სურათებში კი მინახავს.

— ლეიტენანტ ვესიოლოვმა მიამბო, თუ როგორ გვაზიანებენ ჯაშუშები. ჩვენ, პიონერები, მზად უნდა ვიყოთ. ოო, კარგი კაცია ლეიტანტი ვესიოლოვი. რამდენჯერმე „გეკოც“ მასროლინა. იცი, როგორ ვარტყამდი მიზანში!

— სროლა მეც ვიცი, მამაჩემის „გეკო“ მისროლია.

— ხვალ დილით სათევზაოდ წავიდეთ. ისეთ ადგილებს გაჩვენებ, იმოდენა თევზებს დავიჭერთ, რომ ძალიან კმაყოფილი იქნები.

— წავიდეთ, ძალიანაც მინდა. აი, შენ რომ მოსკოვში ჩამოხვიდე, მეც ბევრ კარგ რამეს განახვებ. ძალიან კარგია. დიდი, დიდი და ლამაზი ქალაქია!

ლაპარაკში გართულნი შეუმჩნევლად სოფელში შევიდნენ.

o

საღამოთი მიტია და ვანია საქმიანად ფუსფუსებდნენ, გრძელი მაგარი მკედით და გრძელივე ჯოხებით ანკესებს იკეთებდნენ. მოიმზადეს კასრები, აბგაში პური და მზეზე დამჭკნარი ნალიმი[1] ჩადეს. ნაჯახები და ჯიბის დანებიც იშოვეს, მეზობლად მცხოვრები კოლიაც აიყოლიეს და სამნი განთიადისას გაუდგნენ გზას.

მიტიასათვის ყოველი ბილიკი, ყოველი ბორცვი, ყოველი ხევი ნაცნობი იყო. უზრუნველი სიხალისით და საქმიანი გატაცებით მიდიოდნენ დაღმართზე. ისინი სოფლიდან ხუთ კილომეტრამდე იყვნენ დაშორებულნი.

მდინარე სუნგარს მრავლად ჩაუდის უღრანი ტყეებიდან გამოსული მდინარეები. ღრმა და პირქუშს, მაგრამ ვიწრო ხევებს აერთებს იქვე მოჭრილი ხის ბოგირები. როდესაც ბავშვები ერთ-ერთ უკვე გა-

მოფიტული ხეების ბოგირს გადაახტნენ, მიტია შეჩერდა.

— მოიცათ, ბიჭებო, თქვენ მდინარეში ამჩნევთ რამეს თუ არა?!

ბიჭები შეჩერდნენ და წარბებზე ხელები მიიდეს. შესცქეროდნენ მდინარის იმ ადგილს, საითაც მიტია მიუთითებდა. ისინი ვერაფერს ხედავდნენ, რადგან მდინარე ისე ლაპლაპებდა, თითქოს მასზე ვერცხლის ფირფიტები გაუბნევიათო.

— მე ვერაფერსა ვხედავ! — წაიბუტბუტა ვანიამ.

— ვერც მე! — თქვა კოლიამ.

მცირეოდენი დაკვირვების შემდეგ მიტიამ მღელვარედ წამოიძახა:

— იცით, ბიჭებო, მდინარის შუაგულში ნავი უნდა იყოს. იქნებ ჩვენი მტრების სამხედრო ნავია და ჩვენი საზღვრებისაკენ მოიპარება?

ვანია და კოლია განცვიფრებული შესცქეროდნენ ხან მიტიას, ხან მდინარის შუაგულს.

— კოლია, შეგიძლია აცოცდე ამ ფიჭვზე?

— როგორ არა!

— აცოცდი და დაათვალიერე.

კოლია აცოცდა და გულმოდგინედ დაუწყო ცქერა მითითებულ მხარეს.

მართლაც, ვერცხლივით ლაპლაპა ზვირთებზე შემოსახვევისაკენ მიემართებოდა ნავი. გეზი კლდოვან კონცხისაკენ ჰქონდათ აღებული. კონცხის დაფარულ და მყუდრო ადგილთან მტერი ნაპირზე გადმოვიდოდა და ტყის ბილიკებით წამოვიდოდა.

ხის კენწეროზე მჯდომმა კოლიამ ხმამაღლა დაიძახა:

— მტრის ნავია, მტრის ნავი!

მიტია შემოტრიალდა, თითქოს აღმართის არბენა დააპირა, მაგრამ შეჩერდა. ელვის სისწრაფით მოფიქრებული გადაწყვეტილების შემდეგ წარმოთქვა:

— რომელი თქვენგანი გაწირავს თავს, რომელ თქვენგანს არ ეშინია?!

[1] თევზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ხიფათის წარმოდგენამ ბავშვები ააფეთქა. თვალები გაუბრწყინდათ, სწორედ ისე, როგორც ხანში შესულ გმირებს გაუბრწყინდებოდათ.

— მზადა ვართ!—წამოიძახეს თითქმის ერთდროულად.

მერე ვანიამ დააყოლა:

— პიონერები ტყვილად ვართ?!

— სწრაფად, ჩემთან!—მიაძახა მიტიამ.

რამდენიმე წუთში ჩაირბინეს ჭალამდე მიმავალი ბილიკი. გაემართნენ ნაპირისა და კონცხის მიმართულებით. ტირიფებში ჩაიმალნენ.

გაისმა დროგამოშვებით სტვენა. უსტვენდა ლითონის სასტვენი.

— ერთი კიდევ გახედე, კოლია, რას შვრებიან? კოლია შეხტა კუნძზე, აცოცდა ტირიფზე.

— ისინი თავიანთ ზონაში იმყოფებიან, მაგრამ რაღაც სიგნალებს აწვდიან.

— ჩვენ ვერ გვხედავენ. ჩამოდი სწრაფად. ქაღალდი არა გაქვთ?

ვანიამ უბის წიგნი ამოიღო. მიტიამ რამდენიმე სიტყვა დაწერა:

> „ლეიტენანტ ვესიოლოვს.
>
> მტრები და ჯაშუშები ჩვენს საზღვრებზე კლდოვან კონცხთან შემოიპარნენ. გუშაგის ბედი არ ვიცით“.
>
> მუდამ მზად ვართ პიონერები მიტია და ვანია.

— კოლია, შენ გზა იცი, წერილი შენ უნდა წაიღო! სწორედ იმ ლეიტენანტს მისცემ, გუშინ რომ გამომელაპარაკა. სირბილით უნდა წახვიდე!

კოლიას პასუხი არც კი გაუცია, წერილი უბეში ჩაიდო და იმავე წუთს აღმართს შეუდგა.

— ჩვენ კი ეს ტყე გადავჭრათ. ამ გორაზე გადავიდეთ, ქვახევში ჩავუსწრებთ. თუ ჯაშუშები გადმოსხეს, მათ წინსვლას ხელი შევუშალოთ და თვალი ვადევნოთ, რომ მიმალვა არ მოასწრონ, — გამოელაპარაკა მიტია ვანიას და ტყის შუაგულისკენ გაეშურნენ.

○

ჰაერში ერთი გასროლა აზუზუნდა.

ზუზუნმა მდინარეზე გადაისრიალა და ტყეში დაიკარგა.

ბავშვები თოფის ხმაზე შეშფოთდნენ, ნაბიჯს აუჩქარეს, მიუახლოვდნენ ხევს, რომლის ნაპირზეც უხსოვარ დროიდან ბილიკი იყო გაყვანილი. ეს ხევი თანდათან ვიწროვდებოდა. ამ ვიწრო ადგილს ერთმანეთთან აერთებდა ბებერი ფიჭვი, რომელიც წამოექციათ და ხიდად გაედოთ. ეს ბილიკი ხევის მარჯვენა ნაპირზე ამ ფიჭვის ხიდით გადადიოდა.

შემოპარულმა ჯაშუშებმა იცოდნენ ეს ადგილი. ისინი ნავიდან გადმოსხდნენ და ამ მხრივ გამოემართნენ.

მესაზღვრე გუშაგს არ ეძინა. ფხიზლად დარაჯობდა. ისროლა. დაჭრა ერთი, მაგრამ სამი ქვებს მოეფარა და სროლა აუტეხეს.

გუშაგი მოკლეს...

მიტია და ვანია კი უკვე ბორცვზე იყვნენ. წიწვიანი ხეებისა და ბუჩქებისაგან ხელფეხი დაკაწრული ჰქონდათ. მათ შორიდანვე შენიშნეს, თუ როგორ მორბოდა მათკენ რამდენიმე კაცი.

— ვანია, მაგათი ხევზე გადაშვება არ შეიძლება. შენ ქვები ესროლე, მე ავირბენ და ხიდს ჩავანგრევ, თორემ, თუ გამოვიდნენ, ველარ ვიპოვით.

გულამღვრეული და თავგანწირვის გრძნობით შეპყრობილი გაიქცა ხიდისაკენ, წელიდან ნაჯახი მოიძრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა არტყამდა ხეს. მისი ბავშვური მკლავები ძლივს გლეჯდნენ ნაფოტებს. ხედავდა, რომ ხის გადაჭრა ძნელი იყო, შეიძლება სულაც ვერ მიეღწია მიზნისათვის, მაგრამ ძალღონეს არ იშურებდა. ხევის ძირში კი სალ ქვებზე მიღრიალებდა ტყიდან და ქვებიდან გამონახეთქი მდინარე.

არც ვანია იყო უქმად. ის აგროვებდა ქვებს და მტრების მოახლოვებისას ერთიმეორის მიყოლებით ისვროდა. ჯაშუშებმა დაინახეს მოფუსფუსე ბავშვები და ისროლეს. როდესაც ვანიას ქვები გაუთავდა, მიწაზე გაწვა და ფოფხვით მიტიასთან მივიდა.

— მიტია, დავიღუპეთ, ისინი სულ მალე აქ გაჩნდებიან, როგორ ვუშველოთ თავს?!

— რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს ბოგირი უნდა ჩავანგრიოთ, — უპასუხა მიტიამ და ანიშნა ისიც მიშველებოდა.

ორივემ აამუშავეს ნაჯახები. ხმაშეწყობილად ისმოდა ჯახუნი. ხე აჭრიალდა კიდეც, სადაცაა ჩატყდება, მაგრამ სწორედ ამ დროს გავარდა რევოლვერი, და ტყვიამ მიტიას წვივში გაუარა. რამდენიმე წუთს ვერ გრძნობდა ჭრილობას, მაგრამ სულ მალე მუხლები ჩაეკეცა, ძირს დავარდა.

— მიტია, რა დაგემართა!?—შესძახა ვანიამ და მკლავზე გადაიწვინა, თანაც შუბლზე ხელი გადაუსვა.

ვანია აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა ჩანჩქერს, რომ წყალი ეპკურებინა.

— თვალი გაახილე, მიტია, თვალი! — შესძახა გულმტკივნეულად, მერე მაჯისა და საფეთქლის ზელვა დაუწყო.

მარცხენა ფეხის შარვლის ტოტის ქვეშ კი სისხლი თქრიალით მოდიოდა. როდესაც სისხლი მიწაზე დაეწვეთა, ვანიამ მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ მიტია დაჭრილი იყო, უცბათ მოუნახა ჭრილობა, ყელსახვევი მოიხსნა და მაგრად შემოუჭირა. მიტიამაც თვალი გაახილა და წაილულღლუღა:

— ბოგირი არ ჩატეხე?

— არ ჩამტყდარა, მაგრამ ერთი კაცის სიმძიმესაც ვერ აიტანს, მაშინვე ჩატყდება. წამო, გავიქცეთ, თორემ გვიახლოვდებიან.

— შენ წადი, მე ფეხში ვარ დაჭრილი, აქ დავრჩები, შენ თავს უშველე!

— მაშ მეც შენთან ვიქნები, — უპასუხა ვანიამ და მიტია წამოსვა.

ამ დროს ბილიკზე ერთი საშინლად დანაოჭებული სახის კაცი გამოჩნდა. მოძრაობაზე ეტყობოდა, მოხუცი არ იყო. ხელში რევოლვერი ეჭირა.

— ეს თქვენა ხართ, ძაღლის ლეკვებო, ქვებს რომ გვიშენდით?!

— შაშხანები რომ გვქონოდა, ტყვიებს დაგიშენდით, — უპასუხა ვანიამ და ზეზე წამოდგა.

— თოკით შეჰკარით ეგ ლეკვები და... არ დაამთავრა სიტყვა პირველმა ჯაშუშმა, ოღონდ თავის გვერდზე მდგომს გადაუჩურჩულა: ტყეში გაიხედ-გამოიხედე, არავინ იყოს ჩამალულიო.

— თქვენ, ეი, არამზადებო, ჩემი ამხანაგი დაჭრილია, ხელი არ ახლოთ! — შეჰყვირა ვანიამ, როდესაც მწოლარე მიტიას მისცვივდნენ.

ერთი ტყის შუაგულს შეიჭრა, ათვალიერებდა, ჩასაფრებულებს ეძებდა, ბავშვებს კი თოკით ერთმანეთზე გადაკვრა დაუწყეს.

დადგა წამი, როდესაც ყველამ სული განაბა. გაისმა ცხენების ტოკების ხმა და ჭიხვინი, ბავშვებს სახე გაუნათლდათ, უფრო გაბედულად დაუწყეს წინააღმდეგობა.

აი, მათ თვალწინ გაიქროლა ცხენოსანთა რაზმმაც. ისინი მოჰყვებიან ხვეულ გზას, რომელიც მაღლა-მაღლა მოიმართება. სულ მალე მოახლოვდებიან კიდეც. მაშინ ჯაშუშებმა ერთმანეთზე გადაკრული ბავშვები მიატოვეს და უკვე საკუთარი თავის საშველად ბოგირს ეცნენ, მაგრამ ზედ გადასვლა ვერ გაბედეს, ჩატეხვისა და ხევში ჩავარდნისა შეეშინდათ. ტყეში შეაფარეს თავი.

ვანიამ, როგორც იქნა, წამოიწია, მუხლებზე წამოდგა და ხმამაღლა დაიძახა: — აქეთ, აქეთ! აქა ვართ! თანაც ნაჯახის პირზე მობმულ მიტიას ყელსახვევს ჰაერში აფრიალებდა.

მხედართა შორის პირველი ლეიტენანტი ვესიოლოვი მოქროდა, უკან უნაგირზე კოლია ეჯდა.

— როგორა ხართ, ბიჭებო! — ცხენიდან ჩამოხტომისთანავე მიაძახა ლეიტენანტმა.

— ჩვენ არა გვიშავს რა, ჯაშუშები აი ამ გზით წავიდნენ, — უპასუხა მიტიამ.

ათიოდე კაცი ტყის ყოველ მხარეს გაგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ სამი ჯაშუში დაჭერილი მოიყვანეს.

მიტიას ჭრილობა კარგად შეუხვიეს. მესაზღვრეებმა ბავშვები უნაგირებზე შემოისვეს და სოფლისაკენ გაქროლდნენ.

იმავე დღეს სამი პიონერის გმირობის ამბავი მთელ სოფლებს ელვასავით მოედო.

გ ნაჯროშვილი

შკვიღავი მეცნიერი

ზღვის ჯალღებს შორის

უცნაურია ჩრდილოეთის ელვარება. დღეა, მაგრამ სამხრელ კაცს მთვარიანი ღამე ეგონება. იმ მიდამოებში, სადაც მდინარე ჩრდილოეთის დვინა თეთრ ზღვას უერთდება, ერთ პატარა სოფელში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა მეთევზე ვასილ თეოდორეს ძე. ჭკვიანი და მამაცი კაცი იყო ეს მეთევზე. თავისი სათევზაო გემი ჰქონდა, რომელსაც „ჩაიკას“ ეძახოდა. ამ გემით აჰყვებოდა ხოლმე ვასილი დვინას ტალღებს, შედიოდა თეთრ ზღვაში და აქედან ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეშიაც კი ბედავდა გასვლას. არ ეშინოდა მძვინვარე ოკეანისა, მკაცრი ჩრდილოეთის ბუნებისა, მძლავრი ტალღებისა, ყინულების მთებისა... არ ეშინოდა ამ მეთევზის პატარა ბიჭსაც, რომელიც მამას მუდამ თან დასდევდა...

მამა და შვილი უფრო მეტ დროს ზღვაზე ატარებდნენ, ვიდრე ხმელეთზე. ბევრჯერ ყოფილან საფრთხეში, ბევრჯერ მიუხლია მათი გემი ნაპირისათვის გაშმაგებულ ზღვას, ბევრჯერ ყოფილან დაღუპვის პირად, მაგრამ მამაც მეზღვაურებს —გამოცდილ მეთევზესა და პატარა ბიჭს—წარბიც არ შეუხრიათ.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს მეთევზის პატარა ბიჭი მომავალში შეიქნებოდა რუსეთის მეცნიერების მამა, შესანიშნავი მოაზროვნე, გენიალური ფიზიკოსი და ქიმიკოსი, მეტალურგიის საუკეთესო მცოდნე, გონებამახვილი გამომგონებელი, გეოგრაფი და ასტრონომი, ისტორიკოსი და პოეტი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, გეოლოგი და მეტეოროლოგი, რუსული გრამატიკის ფუძემდებელი, არქტიკის პირველი მკვლევარი, წევრი პეტერბურგის, სტოკჰოლმის და ბოლონის სამეცნიერო აკადემიებისა, პირველი რუსული უნივერსიტეტის შემქმნელი.

მკითხველი უკვე მიხვდა ვინ იყო ეს პატარა ბიჭი—ეს ხომ ლომონოსოვია, მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი!

ეს ბიჭი მთელ სოფელს აკვირვებდა თავისი სწავლულობით. თორმეტი წლისა იყო და სოფლის ეკლესიაში ფსალმუნს იმაზე უკეთესად ვეღარავინ კითხულობდა. მაგრამ რაღაც არ მოსწონდა ბიჭს საეკლესიო წიგნები. სხვა რამეს ეძებდა ის... მთელი მეზობლების ქოხები გადააქოთა და გლეხ ქრისტეფორე დუდინის ბინაზე იპოვნა სამი არასაეკლესიო შინაარსის წიგნი. მაგრამ მოხუცმა წიგნები როდი დაანება! ამაოდ ევედრებოდა ლომონოსოვი. ბოლოს მოხუცი მოკვდა. ლომონოსოვი ახლა მის შვილიშვილს შეუჩნდა და ის წიგნები ხელთ იგდო. ეს წიგნები იყო—გრამატიკა, პოლოცკის ლექსები და არითმეტიკის წიგნი. პოლოცკის ლექსებიდან მან გაიგო რა იყო ლექსი, ხოლო არითმეტიკის წიგნი ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცრება იყო... მასში მარტო არითმეტიკა კი არა, ფიზიკაც იყო, გეომეტრიაც, ასტრონომიაც, გეოგრაფიაც და ნავიგაციაც.

ბოროტი დედინაცვალი ჰყავდა მიხეილს, სძულდა თავისი გერი, უსაქმურსა და ზარმაცს ეძახდა მას. დედინაცვალს მისი წიგნებიც ჭირივით ეზარებოდა.

მოულოდნელად ქალაქ ხოლმოგორში გახსნეს სლავიანურ-ლათინური სკოლა. მაგრამ ამ სკოლაში ლომონოსოვი არ მიიღეს, გლეხის შვილებისათვის ამ სკოლის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი... მოიწყინა ახალგაზრდა მიხეილმა... მამა იჯდა ზღვის პირზე და თევლემდა, მიხეილიც იქვე იყო, ფიქრობდა, ოცნებობდა, გასცქეროდა ზღვის შორეულ სივრცეს. თოლიები დაფრინავდნენ... მიხეილი კი ფიქრობდა, ოცნებობდა...

და აი ერთ დილით...

დედინაცვალმა სოფელში ვეღარ იპოვნა მიხეილი, არ იცოდა სად წავიდა ეს აბეზარი ბიჭი... მამამ კი იცოდა...

მოსკოვში მას არავინ იცნობს...

ლომონოსოვი იმ მხარისაკენ გადაიკარგა, სადაც მას არავინ იცნობდა... ერთ ქარიშხლიან ღამეს ითხოვა მეზობლისაგან თბილი ქურქი, ისესხა სამი მანეთი და გაემგზავრა მოსკოვისაკენ... მოსკოვში რა იცოდნენ, რომ ის გლეხის შვილი იყო, სასწავლებელში მიღებაზე უარს ვერ ეტყოდნენ. ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ მოსკოვში იყო... მივიდა სპასკის მონასტერთან არსებულ სასწავლებელში, განაცხადა აზნაურის შვილი ვარო, დაუჯერეს და მიიღეს სკოლაში.

უცნაური რამ იყო ეს სასულიერო სასწავლებელი, აქ ასწავლიდნენ ბერძნულ და ლათინურ ენებს და სქოლასტიკას. ამ სკოლის კედელზე ვეებერთელა პლაკატი იყო, პლაკატზე ეხატა მასწავლებელი, რომელსაც ერთ ხელში წკეპლა ეჭირა, მეორე ხელით ბავშვი და ცემას უპირებდა. პლაკატის ქვემოთ გაკრული იყო ლოზუნგი, ლათინურ ენაზე დაწერილი. მიხეილი მიაჩერდა ამ ლოზუნგს და წაიკითხა:

— ცემა-ტყეპა მეცნიერების დედაა.

ხუთი წელიწადი დარჩა ამ სკოლაში ლომონოსოვი. აუწერელი იყო მისი სიღატაკე: მისი ყოველდღიური სადილი ხმელი პური იყო, მაგრამ მაინც ბეჯითად სწავლობდა. კარგად ისწავლა ლათინური ენა, ლოგიკა, ფილოსოფია, აქვე მიეჩვია ლათინურ ენაზე ლექსების წერას. იმ ეპოქაში მთელი მსოფლიოს მეცნიერებაში გაბატონებულ ენად ლათინური ითვლებოდა. მაგრამ მოსკოვის სასულიერო სასწავლებელი მაინც არ აკმაყოფილებდა ლომონოსოვს, მას ნამდვილი მეცნიერება უნდოდა, მისკენ ისწრაფოდა...

რაზომ ისროლეს სიხიდან ზარბაზანი?

და აი დადგა 1736 წელი... მოსკოვის სკოლებიდან საუკეთესო, ნიჭიერი მოსწავლეები აარჩიეს და პეტერბურგში გაიძახეს. მათ რიცხვში ლომონოსოვიც მოხვდა... პეტერბურგში მას აცნობეს, სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში უნდა წახვიდეო.

ლომონოსოვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ამავე წლის სამ ნოემბერს ლომონოსოვი უკვე გერმანიის ქალაქ მარბურგში იყო. მარბურგის უნივერსიტეტში სტუდენტობის დიდი ნაწილი თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. ისინი სწავლას ყურადღებას არ აქცევდნენ... დღე და ღამე ქეიფობდნენ, ჩხუბობდნენ, ამტვრევდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა სახლების ფანჯრებს, ლეწავდნენ სასტუმროებში ჭურჭელს, ქუჩაში ფარნის ბოძებს აქცევდნენ, დუქნების აბრებს ძირსა ჰყრიდნენ....

ახალგაზრდა ლომონოსოვი ისეთი მძლავრი, ჯანსაღი და ღონიერი იყო, რომ გერმანიის სტუდენტებში ვერავინ გაიმკლავდებოდა. მაგრამ მას საჩხუბრად როდი ეცალა. ის ზიზღით უცქერდა ამ ლოთი-ფოთურ ახალგაზრდობას. მთელი დღე მეცადინეობდა პროფ. ქრისტიან ვოლფის ხელმძღვანელობით, გატაცებით სწავლობდა ქიმიას, მეტალურგიას, და ფილოსოფიას...

პროფესორმა ვოლფმა დაინახა, რომ ლომონოსოვი არაჩვეულებრივად ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, გატაცებით ასწავლიდა მას, მაგრამ ლომონოსოვს მარბურგში გაჩერება აღარ შეეძლო. ის ვალებით აივსო, მას წაეჩხუბნენ გერმანელი სტუდენტები... ამის შემდეგ ლომონოსოვმა თავის რუს ამხანაგებთან ერთად ქალაქ ფრეიბერგს მიაშურა, სადაც სამთო საქმის შესწავლას აპირებდა...

მაგრამ ფრეიბურგში დიდხანს არ მოუხდა გაჩერება. სამთო საქმის სპეციალისტი გენკელი, რომელიც ფრეიბურგში ლომონოსოვს ასწავლიდა, მეტად ახირებული და ჯიუტი კაცი იყო. ლომონოსოვი მას წაეჩხუბა და გამოიქცა კიდეც ამ ქალაქიდან... მაგრამ სად უნდა წასულიყო... ერთი კაპეიკიც არა ჰქონდა. უცხო მხარეში, უცხო ქვეყანაში დაიწყო ხეტიალი... გერმანიის ქალაქ დუსელდორფის მახლობლად ერთ სასტუმროში შევიდა ღამის გასათევად.

სასტუმროში პრუსიელი ოფიცრების კომპანია ქეიფობდა... ისინი ახალ სასალდათე ბიჭებსა ჰკრეფდნენ და დროებით აქ გაჩერებულიყვნენ... ლომონოსოვი მიიპატიჟეს, ჩაის ჭიქებით მიაწოდეს ღვინო და ისე დაათვრეს, რომ მას აღარაფერი ახსოვდა...

მეორე დღეს გაეღვიძა და... ვეღარ იცნო თავისი თავი. მისთვის პრუსიის არმიის ჯარისკაცის ტანსაცმელი ჩაეცმიათ... ბევრი იჩხუბა ლომონოსოვმა, მაგრამ საქმეს აღარაფერი ეშველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით, მეცნიერებავ, მშვიდობით, ტკბილო ოცნებავ! ორი დღის შემდეგ იგი სხვა ახალწვეულებთან ერთად ვეზელის ციხე-სიმაგრესთან დაბანაკებულ ლეგიონში გაგზავნეს.

ლომონოსოვმა დაიწყო გაქცევაზე ფიქრი. ერთხელ ღამისას ადგა საწოლიდან, ყარაულებმა ვერ შეამჩნიეს, და ჩუმად გავიდა სიმაგრის გარეთ, ფართე მინდორში. ის სირბილით მიდიოდა. გათენებისას ციხე-სიმაგრიდან მოესმა ზარბაზნის გასროლის ხმა... ეს იმას ნიშნავდა, რომ სალდათის გაქცევას იტყობინებოდნენ, მას ეძებდნენ... გულმა აჩქარებით დაიწყო ცემა... მოიხედა უკან და დაინახა, რომ მას მოსდევდა ცხენოსანი, გერმანული არმიის კავალერისტი ამოღებული ხმლით... გერმანიის საზღვრამდე რამდენიმე ნაბიჯი-ღა იყო...მთელი ძალღონე მოიკრიბა და საზღვარს გადასცილდა. ჩაიმალა ბუჩქნარში და საღამომდე იქიდან აღარ გამოსულა. დიდი წვალებისა და ხეტიალის შემდეგ 1741 წელს დაბრუნდა პეტერბურგში.

ეს იყო პირველი ლაბორატორია

ცუდი ამბავი დაუხვდა სამშობლოში ლომონოსოვს: მამამისი ზღვაში დამხრჩვალიყო.

ახალგაზრდა მეცნიერმა დაბრუნებისთანავე დაიწყო მრავალფეროვანი საკვლევო მუშაობა. იმავე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში წარუდგინა მეცნიერებათა აკადემიას ორი დისერტაცია ქიმიისა და ოპტიკის საკითხებზე. იმავე წელს დაწერა შესავალი ნაშრომისა: „მათემატიკური ქიმიის ელემენტები“.

მაგრამ ლომონოსოვის მიერ წარდგენილ ნაშრომებს არ ეღირსა განხილვა. ისინი უქმად ეყარა აკადემიის კანცელარიაში და მტვერი ედებოდა. ეს იმიტომ, რომ აკადემიას მეთაურობდა ისეთი ხალხი, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ მეცნიერებასთან.

საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდა ლომონოსოვი. მისი ხელფასი წელიწადში 360 მანეთი იყო, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში არც ერთი კაპეიკი არ მიუღია. ასე შიმშილობდა და თან რევოლუციებს ახდენდა მეცნიერებაში. 1743 წლის ივლისში მას წინა წლის ხელფასის ერთი მესამედიც არა ჰქონდა მიღებული. შეიტანა განცხადება და მისცეს... 10 მანეთი.

ლომონოსოვი ავად გახდა. მას არ ჰქონდა წამლის ფული, არ ჰქონდა პურის ფული. მაშინ აკადემიამ კიდევ მისცა... 5 მანეთი.

როგორ უნდა ემუშავნა მას ქიმიაში? არა ჰქონდა ხელსაწყოები, არ არსებობდა არავითარი ქიმიური ლაბორატორია. 1742 წელს ლომონოსოვმა დაიწყო ბრძოლა ლაბორატორიის გახსნისათვის, შეიტანა განცხადება, მაგრამ განცხადება უყურადღებოდ დატოვეს. ერთი წლის შემდეგ კიდევ შეიტანა განცხადება და ისევ დუმილით უპასუხეს.

აკადემიის მეთაურებს—მეფის ლაქიებს და უსულგულო ჩინოვნიკებს—როდი აინტერესებდათ მეცნიერების წინსვლა.

ლომონოსოვი კი უშიშარი და პირდაპირი ადამიანი იყო. მან გადაწყვიტა არ დაეხია უკან და თავისი გაეტანა. აკადემიის ჩინოვნიკები ყოველი მხრიდან მიესივნენ მას. 1743 წლის 25 აპრილს აკადემიის სხდომაზე ატეხა ჩხუბი მოთმინებიდან გამოსულმა ლომონოსოვმა. მან ქურდები, გაიძვერები და უვიცები უწოდა შუმახერს (შუმახერი—აკადემიის ხელმძღვანელი—მართლაც ნამდვილი გაიძვერა იყო) და აკადემიკოს ვიცგეიმს.

ეს აღარ მოუთმინეს ლომონოსოვს, იგი დააპატიმრეს. მისი პატიმრობა შვიდ თვეს გაგრძელდა. ლაბორატორიის შექმნის მაგიერ იგი ნესტიან ბნელ სარდაფში ჩასვეს. 1744 წელს უმაღლესი ორგანოს—სენატის—განკარგულებით გაათავისუფლეს.

უშედეგოდ დარჩა ლომონოსოვის მესამე და მეოთხე განცხადებაც ლაბორატორიის გახსნის შესახებ. ბოლოს მეხუთედ ცადა ბედი ლომონოსოვმა და თავისი გაიტანა. 1746 წელს საკითხი დადებითად გადაწყდა. ისევ შეეცადნენ ლომონოსოვის მტრები საქმე შეეფერხებინათ, აკადემიის ხემძღვანელი შუმახერიც ცდილობდა ხელი შეეშალა ლაბორატორიის აგებისათვის, რამაც კიდევ გააჭიანურა საქმე. მაგრამ ორი წლის შემდეგ ლომონოსოვმა გაიმარჯვა მას უკვე ჰქონდა ქიმიური ლაბორატორია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიალური მეცნიერი

ამ დღიდან სიკვდილამდე—23 წლის განმავლობაში ლომონოსოვს მეცნიერული მუშაობა არ შეუწყვეტია. 1745 წელს დანიშნეს პროფესორად. ეს იყო პირველი რუსი პროფესორი რუსეთის ისტორიაში.

განუზომელია მისი დამსახურება რუსეთის ლიტერატურის წინაშე. დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობდა: ჩვენი ლიტერატურა დაიწყო 1739 წლიდან,—იმ დროიდან, როცა გამოქვეყნდა ლომონოსოვის პირველი ლექსიო.

მაგრამ ის მარტო პოეტი ხომ არ ყოფილა, ის იყო ისეთი უდიდესი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, როგორიც ნიუტონი და ლავუაზიე იყვნენ. მისი სიკვდილის შემდეგ მთელი ათეული წლების შემდეგ ევროპის მეცნიერები ხელახლა აღმოაჩენდნენ ხოლმე ლომონოსოვის მიერ უკვე აღმოჩენილ ქიმიისა და ფიზიკის კანონებს. ფიზიკაში ასი წლით გაუსწრო ლომონოსოვმა ევროპას. ლავუაზიეზე ორმოცი წლით ადრე აღმოაჩინა მან ნივთიერების მუდმივობის კანონი და ეს აღმოჩენა მეცნიერული ცდებით განამტკიცა.

რუსეთის მრეწველობისა და ტექნიკის განვითარება ლომონოსოვმა დააჩქარა და გიგანტური ნაბიჯებით წაიყვანა წინ. ის მუშაობდა ფერადი და შავი მეტალურგიის, მინის მრეწველობის განვითარების საკითხებზე, მანვე შეისწავლა შახტების ვენტილაციის საკითხი, შეისწავლა სხვადასხვა მადნებიდან ლითონების გამოდნობის მეთოდები, შეისწავლა რუსეთის უხვი და მდიდარი, ვრცელი ბუნება, რომლის წიაღი აღსავსეა ურიცხვი საგანძურით. მთელი სიცოცხლე ოცნებობდა ლომონოსოვი ამ ბუნების გამოყენებაზე, მის დაუფლებაზე. მისი მეცნიერული ფანტაზია აიჭრა ატმოსფეროში. ... შაობდა არქტიკის დაუფლების პრობლემაზე, მან პირველმა მეცნიერულად დააყენა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის—როგორც საზღვაო გზის—გამოყენების საკითხი ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გასასვლელად. საბჭოების ქვეყანამ სინამდვილედ აქცია არქტიკის დაუფლების პრობლემა, რაზედაც ლომონოსოვს მხოლოდ ოცნება შეეძლო. მან მსოფლიო მეცნიერება არნახულ სიმაღლეებამდე აიყვანა. ის გაცხარებით იბრძოდა იმისათვის, რომ აკადემიისა და უნივერსიტეტის კარები გაღებული ყოფილიყო მშრომელებისათვის.

ლომონოსოვი და პუშკინი

ლომონოსოვი და პუშკინი იდეურად მონათესავე გენიოსები იყვნენ. ისინი ორივენი დიდი წარმომადგენლები არიან რუსეთისა და მსოფლიო კულტურისა.

პუშკინი ამბობდა ლომონოსოვის შესახებ: მან შექმნა პირველი უნივერსიტეტი, უკეთ რომ ვთქვათ, პირველი ჩვენი უნივერსიტეტი იგი თვითონ იყოო. პუშკინისავე სიტყვით რომ ვთქვათ, მან აღმოაჩინა „ჭეშმარიტი წყაროები რუსული პოეტური ენისა“, მან პირველმა დაილაპარაკა მხატვრულ ლიტერატურაში ხალხური ენით. ლომონოსოვმა დაიწყო რუსული ენის რეფორმა და პუშკინმა ბრწყინვალედ დაასრულა ის.

რუსეთის ლიტერატურის ულამაზესი და დიდებული შენობის საძირკველში პირველი აგურები ლომონოსოვის ხელმა ჩააწყო. ლომონოსოვი წინ მიუძღოდა რუსეთის ლიტერატურას მეთვრამეტე საუკუნეში, პუშკინი კი მეცხრამეტე საუკუნეში მოექცა ამ ლიტერატურის უმაღლეს მწვერვალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა მარიანიშვილი

ცხის კაცი აფრიკაში

ჩვენი ექსპედიციის ყველაზე უფრო სახიფათო დღე დგებოდა: მოსკოვის ზოოლოგიური პარკისათვის უნდა შეგვეპყრა ფრიად საშიში და ძლიერი ცხოველი გორილა. ექსპედიციაში თხუთმეტი კაციდან მხოლოდ რვა დავრჩით. დანარჩენები დაჭერილ ცხოველთა და ნადირთა მოვლასა და გადაყვანაში იყვნენ გართულნი, ზოგიც აფრიკის ცხელ ჰავას ვერ შეეგუა და ავადმყოფნი ფარდულებში იწვნენ. ერთს კი უბედურება დაატყდა: გააფთრებულმა ლომმა პირის ერთი მოქნევით მოაგლიჯა თავი. მართალია, ლომიც იმ წამსვე მოვკალით, მაგრამ ამხანაგი კი დაღუპვას ვერ გადავარჩინეთ. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ უფრო ფრთხილად ვიქცეოდით.

გორილა ადამიანის მსგავს მაიმუნებზე (ორანგუტანგი, შიმპანზე) ყველაზე დიდი მაიმუნია. სიმაღლით ორ მეტრს აღწევს, მხრები ერთ მეტრზე მეტი აქვს. მისი მორის მსგავსი მკლავები, ადამიანის მაჯის სისხო თითებით — ძლიერი იარაღია მტრის წინააღმდეგ. ქოჩორაყრილი დიდი თავით, სწრაფად მოძრავი მწვანე თვალებით, პრტყელი ცხვირით, წინ წამოწეული მძლავრი ყბებით და საშინელი ეშვებით ის მნახველს შიშის ჟრუანტელსა ჰგვრის. მთელი ტანი, გარდა სახისა, ხელისგულების და მკერდის ნაწილისა, შემოსილია ყავისფერი გრძელი თმით. უზარმაზარ სხეულს ზიდავს შედარებით დაბალი და სქელი ფეხები, რომლებსაც საჭირო შემთხვევაში ხელებივითა ხმარობს. ქვედა კიდურები მოღუნული აქვს და ამიტომ გამართული სიარული ეძნელება. წონასწორობის დასაცავად კეტზე ეყრდნობა. ჩვეულებრივ კი ოთხზე დაიარება. თუ დასჭირდა, დიდ ნახტომებსაც აკეთებს.

გორილები ცხოვრობენ ოჯახობით: დედალ-მამალი და ერთი ან ორი შვილი. მათი საყვარელი ადგილია უღრანი ტყე, სადაც სავსებით ბატონობენ. იკვებებიან მხოლოდ მცენარეულობით და ხის ნაყოფით. ძალიან უყვართ შაქრის ლერწამი, სურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი და გემრიელი ნაყოფი—ანანასი, ბანანი და ქოქოსის კაკალი, რომლებიც უხვად მოიპოვება აფრიკის ტროპიკულ ტყეებში. ხანდახან ფრინველთა ბუდეებსაც ესტუმრებიან და კვერცხებს ჭამენ. გორილა ძალიან გაუმაძღარია, მთელი დღე ჭამაშია გართული და აუარებელ საკვებს ანადგურებს. ღამეს დედა გორილა თავის შვილით ხეზე ატარებს, მამალს კი ხის ქვეშ ფრთხილად ძინავს, ოჯახს ყარაულობს. ვაი მას, ვინც მისი ოჯახის წევრებს შეეხება!

გორილა ძალიან ძლიერი და მძვინვარი ცხოველია. იგი ნადირთა რისხვაა. ვერც ერთი ნადირი ვერ ბედავს მასთან შებრძოლებას. მან არც იცის რა არის შიში, უკან დახევა, არასოდეს არ გაექცევა მტერს, პირიქით, თვითონ გადადის შეტევაზე. მისი ხმა ცასავით ქუხს და შიშის ზარს სცემს ცხოველებს. უშიშრად შეებრძოლება ხოლმე სპილოსაც კი, როდესაც უკანასკნელი მისი ხის ნაყოფს ან ფოთლებს ჭამს. თავის ვეება კეტს, რომელსაც მოხერხებულად ხმარობს, მანამდე ურტყამს ხორთუმში, სანამ სამარცხვინოდ არ გააქცევს. მტერთან მუდამ პირისპირ მიდის და არასოდეს ზურგიდან არ დაესხმის თავს.

გორილა მხოლოდ ნადირთ და თავის მოქიშპე მამალ გორილებს ემტერება, ადამიანთან პირისპირ შეხვედრას კი მუდამ გაურბის, არასოდეს არ დაესხმის მას თავს და თუ სადმე შეამჩნია, ფეხაკრეფით მიიმალება ტყეში. გორილა ამას, რასაკვირველია, იმიტომ კი არ ჩადის, რომ მას ადამიანის ეშინია, არა! იგი, როგორც სხვა მაიმუნები, ადამიანს ნდობით უყურებს და მასში თავის მოწინააღმდეგეს არ ხედავს. მას მხოლოდ არ უნდა თავისი შეხვედრით ადამიანი ააფორიაქოს, შეაშინოს, მაგრამ თუ ადამიანმა თავისი გამომწვევი მოქმედებით გააღიზიანა ან დაჭრა, მაშინ კი გორილა ფრიად საშიში ხდება. ერთი ხელის დარტყმით შეუძლია ადამიანს თავის ქალა დაუმტვრიოს.

„გორილასთან პირისპირ შეხვედრის დროს ადამიანი იღუპება; თუ მას თოფმა უღალატა, გააფთრებული ცხოველი მონადირეს ნაფლეთებად აქცევს, თოფს კი თავისი საშინელი კბილებით ისე დაღრღნის, როგორც სახედარი სტაფილოს“ — ამბობს ცნობილი მოგზაური და მწერალი ბრემი.

აი ასეთ საშიშ ცხოველზე მივდივართ ხვალ სანადიროდ...

* * *

მეორე დღეს დილით რვა კაცი თოფებით შეიარაღებულნი გავუდექით გზას. გორილას შესაპყრობად თან მიგვქონდა ორი ბადე. წინ მიგვიძღოდა გამყოლი ზანგი-მონადირე. უკანასკნელმა იცოდა სად ჰქონდა გაკეთებული ბუნაგი გორილას. მისი თქმით, ბუნაგში იყო დედალ-ძამალი და ერთი შვილი. დიდი გორილას დაჭერაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეკლა მამალი გორილა და დედა-შვილი შეგვეპყრო. თუ დედის დაჭერას ვერ შევძლებდით, შვილით დავკმაყოფილდებოდით.

თოფებმომარჯვებულნი ფეხაკრეფით მივდიოდით აფრიკის ულრან ტყეში, ყოველ საეჭვო ხმაურზე თავდაცვისათვის ვემზადებოდით და განუწყვეტლივ იქით-აქეთ ვიყურებოდით. ვეება ფოთლებით დაბურულ ტყეში მზე ვიწრო ზოლებად ჩამოგვყურებდა და გზას გვინათებდა. ირგვლივ მარადიული ჩრდილი და სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. ამ იდუმალებით მოცულ ტყეში ჩვენი ფეხის ხმაური ჩვენვე გვაფრთხობდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით გორილას ბუნაგს, მით უფრო ძლიერდებოდა ჩვენი მღელვარება, თუმცა გარეგნულად არ ვიმჩნევდით. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ საქმე გვქონდა ძალიან საშიშ და გონიერ მოწინააღმდეგესთან, რომ მასთან ბრძოლა სახუმრო საქმე არ იყო.

შორიდან მდინარის ნელი ხმაური შემოგვესმა. მოწინავე ზანგმა აგვიხსნა, ბუნაგთან უკვე ახლოს ვართ და საჭიროა სიფრთხილეო. მერე მიწაზე წაწვა და მუცელზე ხოხვით ხელმარჯვნივ წავიდა. ჩვენც მის მაგალითს მივბაძეთ. ამ ყოფით რამდენიმე წუთს ვიხოხეთ; ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა, სახე და ხელები დავიკაწრეთ, მაგრამ ფეხზე ადგომას ვერ ვბედავდით. უცბათ წინ მიმავალი შეჩერდა და ხელით გვანიშნა ახლოს მოდითო. მივუახლოვდით და განსაცვიფრებელი სურათი კი დავინახეთ: ტყის პირას ამწვანებულ მინდორზე იჯდა დედა გორილა და შვილს ეთამაშებოდა; ხანდახან შვილი გაუსხლტებოდა ხელიდან, ზურგიდან შემოუვლიდა, შეახტებოდა მხრებზე და მკლავებს ყელზე შემოხვევდა. მერე კვლავ უკან გადახტებოდა, დედის ირგვლივ ხტოდა, ხელებს გამობერილ მუცელზე ირტყამდა, უზომოდ ცელქობდა და მხიარულობდა. დედა დასაჭერად ხელს წაატანდა, შვილი მარდად გაურბოდა და ბალახებში ემალებოდა; დედა თვალებს განგებ იქით-აქეთ აცეცებდა, თითქოს ვერ ხედავდა დამალულ შვილს, მოულოდნელად სტაცებდა ხელს, ჯერ ჰაერში შეათამაშებდა, მერე გულში ჩაიხუტებდა...

თავდავიწყებით გავყურებდით ამ იშვიათ სანახაობას და ჯერ ვერ ვბედავდით დედა—შვილის ამ ბედნიერი წუთების დარღვევას. სასიხარულოდ, მამალი გორილა არსად ჩანდა, და თუ ფრთხილად და ჩქარა ვიმოქმედებდით, შეიძლებოდა უბრძოლველად მოგვეგვარებინა საქმე. ორ ჯგუფად გავიყავით; ოთხ კაცს ზურგიდან უნდა შემოევლო, რომ დედა—შვილისათვის გასაქცევი გზა გადაეჭრა, ოთხს კი პირდაპირ მიეტანა იერიში.

თუმცა ძალიან ფრთხილად ვუახლოვდებოდით, დედა გორილამ მაინც შეგვასწრო თვალი. სწრაფად წამოვარდა, დასტაცა შვილს ხელი და ღრიალით მიაშურა მახლობელ ხეს. მ ს ღრიალზე უცბათ ხეებიდან წამოვარდა უზარმაზარი გორილა და ჩვენ წინ, ოცი ნაბიჯის მანძილზე, მთასავით აღიმართა. საშინელი შესახედავი იყო: თმა ყალყზე დასდგმოდა, მრისხანე თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, საზარლად დაღებულ ხახაში ცერის სისხო ეშვები მოუჩანდა.

და აი, გორილამ დაგვინახა თუ არა, ღრიალი მორთო, მერე ბარძაყის სისხო მკლავები მკერ-

ნახ. ი. ქოქიაშვილის ეროვნული ბიბლიოთეკა

...გორილა უშიშრად შეებრძოლება ხოლმე სპილოსაც. ...იგი თავის ვეება კბილ-მანამდის ურტყამს ხორთუმში, სანამ სამარცხვინოდ არ გააქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დზე დაიშინა — ამით გვანიშნა ბრძოლაში გაწვევა. მაგრამ ჩვენ არც დევგმირები ვიყავით და არც კიდევ სიცოცხლეზე ხელაღებულნი, რომ ბასთან ლონდაღონ საბრძოლველად გავსულიყავით. სწრაფად მოვიმარჯვეთ თოფები და მისი განიერი მკერდი მიზანში ამოვიღეთ. გორილა თითქოს მიხვდა საშიშროებას, მივარდა მახლობელ მოზრდილ ხეს, ფესვებიანად მოგლიჯა და ჩვენკენ ნახტომებით წამოვიდა. ოთხი თოფი ერთად გავარდა. ოთხს კიდევ ოთხი გამოეხმაურა — ეს მეორე ჯგუფიდან იყო. გორილამ უკანასკნელი ნახტომი გააკეთა და დაემხო.

ჩვენ სიხარულით ვაშა შევძახეთ, გვეგონა გავიმარჯვეთ, მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. უზარმაზარი სხეული ჯერ ოდნავ შეინძრა, მერე წამოიწია და საშინელი სახე დაგვანახვა. წარბიდან გადმოდენილ სისხლს გულმოდგინედ იწმენდა, რომ ჩვენთვის კარგად შემოეხედა, უკანასკნელ ძალას იკრებდა და, როგორც ეტყობოდა, კვლავ თავდასხმას გვიპირებდა.

ჩვენ ყოველი შემთხვევისათვის, უკან-უკან დავიწყეთ დახევა და თან თოფებში ვაზნებს ვაწყობდით. მოულოდნელად გორილა ფეხზე წამოვარდა და ხეს შემოგვტყორცნა. ამხანაგებმა მოასწრეს გვერდზე გადახტომა, მე კი ხის წვერი მომხვდა და ბალახებში გავგორდი. მაგრამ შიშმა უმალვე ზეზე წამომაგდო. ვიღაცას მარჯვედ გასროლილმა ტყვიამ უსულოდ დასცა გორილა. საშიში მოწინააღმდეგე ჩამოვიშორეთ. ახლა უკვე დედა-შვილზე მივიტანეთ იერიში, რომლებსაც ხეზე შეეფარებინათ თავი. დედა გორილას ჩვენთვის საჩუქრად კეტი დაემზადებინა. ყვიროდა, შფოთავდა, კეტს მარჯვნივ და მარცხნივ ატრიალებდა, ამით ცდილობდა ჩვენ შეშინებას. შვილი დედას კისერზე შემოჰხვეოდა და თავი მკერდში ჩაემალა. მეტი გზა არ იყო, ის ხე, რომელზედაც იყვნენ, უნდა მოგვეჭრა და ამ გზით შეგვეპყრო დედა-შვილი. ორი საათი რიგრიგობით ვუჩეხდით ხეს ძირს. შეშინებული მაიმუნები ზევიდან გვადევნებდნენ თვალყურს. როგორც იქნა, უზარმაზარი ხე წამოიქცა. მაიმუნები ამას არ მოელოდნენ და დაიბნენ. ვიდრე აზრზე მოვიდოდნენ და წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ, დედა-შვილს ბადე გადავაცვით და მაგრა შევთოკეთ...

◇ ◇ ◇

სანდრო ჭღენჯი

შვილდ-ისარი

ზის კაკო და მწარედ ოხრავს,
გააწამა ისრის გათლამ,
გუშინ უთხრეს: „ოსტატი ხარ!“ —
ეს ნათქვამი სჯერა მართლა.

თლის ისარს და თანაც უნდა
გარჯისათვის დედამ აქოს,
უხარია, კიდეც უჭირს,
ისრის ბოლოს ფრთით რომ ამკობს.

კაკომ ისარს ფრთა გაურჭო,
მოსინჯა და თითქოს ისვრის,
და გარეთ კი ჩიტუნების
ჟივილი და სტვენა ისმის.

თოვს ნელ-ნელა. მარტის დღეა.
თოვს, თბილა და აღარ სუსხავს...
იქვე, სახლთან, ბელურებით
დაიფარა დიდი მუხა.

გამოვიდა გარეთ კაკო,
მოუმარჯვა შვილდი ისარს,
ცალი თვალი მოხუჭა და
მუხისაკენ იჭერს მიზანს.

და ისარიც გასრიალდა,
გადავარდა სადღაც ხევში...
გატეხილი შვილდი თოკით
შერჩა მარტო კაკოს ხელში.

დგას კაკო და მოწყენილი
წამდაუწუმ სახეს იცვლის,
შვილდი გატყდა, და ისარი
სად მოძებნოს აღარ იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები მეცნიერებაზე

შაღვა თაბუკაშვილი

ქვის წვიმები

აბა რას იტყვით, ვინმემ რომ გკითხოთ: შეიძლება თუ არა ქვის წვიმა მოვიდესო? თქვენ გაგიკვირდებათ — ქვის წვიმა როგორ შეიძლებაო, მაგრამ ასეთი წვიმა მართლაც არა ერთხელ მოსულა.

823 წელს გერმანიაში მოვიდა ქვის წვიმა, 921 წელს იტალიაში, 1866 წელს—უნგრეთში, სადაც 1000 ქვაზე მეტი ჩამოვარდა ციდან. მოსახლეობას შიშით თავზარი დაეცა, მღვდლები გაიძახოდნენ: ეს სასწაულია, ღმერთი გვსჯის ცოდვებისათვისო.

ციდან ჩამოვარდნილი ქვები არის სხვადასხვა პლანეტის ნატეხები, რომელთაც დედამიწა მიიზიდავს ხოლმე. მათ მეტეორები ჰქვია.

ზოგი მეტეორი პატარაა, ზოგი კი ძალიან დიდია. გრენლანდიაში ერთმა მეცნიერმა იპოვა მეტეორი, რომელიც 26000 კილოგრამს იწონის; გრენლანდიაში ნაპოვნია ამაზე უფრო დიდი მეტეორიც—ის 80000 კილოგრამს იწონის. წარმოგიდგენიათ, ციდან ვარდება ამხელა ქვა! ცხადია, ასეთი მეტეორები ძალიან აცვიფრებდა ადამიანებს, ვერ აეხსნათ მათი წარმოშობის მიზეზი და ზოგი ღვთის სასწაულად თვლიდა ამას, ზოგი კი ჯიუტად გაიძახოდა: რა სისულელეა, რაღაცას ჩმახავენ, ციდან ქვების ჩამოვარდნა როგორ შეიძლებაო.



მეტეორის ჩამოვარდნა მადრიდში 1896 წ. 10 თებერვალს.

მეცნიერები მე-18 საუკუნის გასულსაც კი ვერ ახერხებდნენ ამ საკითხის გადაჭრას.

1790 წ. საფრანგეთში ჩამოვარდა დიდი მეტეორიტი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სათანადო ოქმი შეადგინა, 300 მოწმემ ხელი მოაწერა, და ეს ოქმი პარიზის აკადემიას გადაუგზავნეს. იცით, რა ქნეს აკადემიკოსებმა? იმათ სასაცილოდაც არ ეყოთ ეს ამბავი და თქვეს: ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს დროსაც კი არიან ისეთები, რომლებსაც ჯერათ, თითქოს შესაძლებელი იყოს ციდან ქვების ჩამოვარდნა. მაგრამ საფრანგეთში იმ ხანებში კიდევ რამდენიმე მეტეორი ჩამოვარდა, და აკადემია იძულებული გახდა ამ საკითხის შესწავლა მიენდო ფიზიკოს ბიოსათვის. მან შეისწავლა ნორმანდიაში მოსული ქვის წვიმის საკითხი. იქ იპოვეს ციდან ჩამოვარდნილ 3000 ქვამდის, ზოგი მათგანი 7 კილოს იწონიდა.

ფიზიკოსი ბიო დარწმუნდა, რომ ქვები მართლაც ციდან ცვიოდა. ციდან ვარდება ხოლმე არა მხოლოდ ქვები, არამედ რკინაც. ჩრდილოეთ ამერიკაში ჩამოვარდა რკინის მეტეორი, რომელიც 17600 კილოს იწონის.

ძალიან საინტერესოა მადრიდის მეტეორი, რომელიც 1896 წელს ჩამოვარდა. აი როგორ აღწერს ამ ამბავს ერთი დამსწრე:

„დღეს დილით, როდესაც მზე ანათებდა, ცაზე უეცრად გამოჩნდა თვალმომჭრელი მოტრედისფრო ზოლი, რომლის კაშკაშმა მზის სინათლეს გადააჭარბა. ორი წუთის შემდეგ გაისმა საში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გრიალი, თითქოს რამდენიმე ათასი ზარბაზანი ერთად დაცალესო. მიწა იძრა, ბევრი სახლი დასკდა; ავეჯი იქცეოდა, ზრიალით იმტვრეოდა მილიონობით ფანჯრის მინები. აუწერელმა შიშმა მოიცვა მადრიდის მოსახლეობა...“

მადრიდის მეტეორიტის ნატეხები მოხვდა ზოგიერთებს და დააშავა. ეს ნატეხები იმდენად ცხელი იყო, რომ ქაღალდს წვავდა.

1892 წელს კასპიის ზღვაში, ბაქოს მახლობლად, ჩამოვარდა უზარმაზარი მეტეორიტი, რომლის სიგრძე 14 მეტრს უდრიდა, სიმძიმე კი 80.000 კილოგრამს. შარშანწინ შორეულ აღმოსავლეთის საზღვართანაც ჩამოვარდა მეტეორიტი და კინაღამ თავში დაეცა სადარაჯოზე მდგომ წითელარმიელებს.

ყველა ჩვენგანს უნახავს, როგორ „წყდება ვარსკვლავი“. ის ცაზე უცებ გაიელვებს და გაქრება. „ვარსკლავი მოწყდა—ვიღაცა მოკვდა“—ამბობენ ცრუმორწმუნენი. რა არის ეს—მართლა ვარსკვლავია? არა, ეს მხოლოდ მეტეორებია, სხვა პლანეტების ნატეხები, რომლებიც ისეთი სისწრაფით დაქრიან, რომ ჰაერს საშინლად ახურებენ და გავარვარებული აირები ანათებს.

ყოველღამ აუარებელი „ვარსკლავი“ წყდება—6—8 მილიონი. განსაკუთრებით ხშირია „ვარსკვლავების“ მოწყვეტა 8—12 აგვისტოს, 12—15 ნოემბერს და 20—30 აპრილს. 1866 წლის 13 ნოემბრის ღამეს ორ საათში 9000 „ვარსკვლავი“ მოწყდა—ეს ისეთი ლამაზი სანახაობაა, რომ აღწერაც შეუძლებელია.

ამრიგად, მეტეორები ხშირი მოვლენაა, მაგრამ ბევრი მათგანი ჰაერშივე მტვრად იქცევა, ზოგი კი დედამიწაზე ვარდება. ათასი წლების განმავლობაში დაქროლავდნენ ცის უსაზღვრო სივრცეში ის ქვები, რომელნიც შემდგომ მიწამ მიიზიდა და დედამიწაზე ჩამოვარდნენ. გამორკვეულია, რომ ყოველდღიურად 35 მილიონამდის მეტეორიტი ვარდება ჩვენს პლანეტაზე.



მეტეორიტი, რომელიც იპოვა ნორდენშილდმა ოვიფაკში (გრენლანდიაში), წონით დაახლოებით 1ᲑᲐ560 კლგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური თევზები

ნ. ქ.

◇ ◇ ◇

თვალუწვდენელ სივრცეზე გაწოლილა ზღვა. მოშხიბლავია მისი ფირუზის ფერი წყალი, თვალი ვერ ძღება მისი სილამაზით. აუარებელი თევზი, ცხოველი ბინადრობს ზღვაში და მაშინ, როდესაც კაცს მშვიდი, წყნარი ეჩვენება ზღვა, მის წიაღში მთელი ამბებია დატრიალებული, იქ პატარა თევზები გულგახეთქილნი გაურბიან უფრო დიდ თევზებს, რომელნიც მათ შესაჭმელად მისდევენ, მათ კიდევ უფრო დიდი თევზები ეშტერებიან და სანსლავენ. ბრძოლაა, არსებობისათვის ბრძოლაა გაჩაღებული.

მაგრამ ნეტავ რა ამბავია ზღვის სიღრმეში, არის თუ არა იქ სიცოცხლე? მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ზღვებსა და ოკეანეებში დიდ სიღრმეზე აუარებელი ცხოველი და თევზი ცხოვრობს, მოახერხეს კიდეც მათი დაჭერა და შეისწავლეს მათი ყოფაცხოვრება. ახლა კი ე. წ. ბატისფერით ადამიანი დიდ სიღრმეზე ეშვება წყალში და უშუალოდ ეცნობა ყოველივეს, რაც ხდება.

მეტისმეტად უცნაური თევზებია ზღვის დიდ სიღრმეზე. იქ ცხოვრების პირობები სხვანაირია, და ეს ახდენს გავლენას ყოველ ცოცხალ არსებაზე, რომელიც ზღვის სიღრმეში ცხოვრობს.

ვინაიდან მზის სხივები ვერ აღწევს წყალში დიდ სიღრმეზე, იქ მუდამ ბნელა; იქ ზოგ თევზს საკუთარი „ფარანი“ აქვს, რომელიც ანათებს. ეს „ფარანი“ მიბმულია შუბლზე წამოზრდილ გრძელ ჯოხისებური მოწყობილობის ბოლოზე. ამ წამონაზარდს თევზი გინდ წინ გამოიქნევს, პირთან მოიტანს, გინდ უკან გადაწევს, ინათებს გზას და არხეინად დაცურავს წყვდიადით მოცულ წყალში. იცით, კიდევ რა დიდ სამსახურს უწევს ეს „ფარანი“ თევზს? ხომ შეგიმჩნევიათ, როგორ ესევიან ბუზ-პეპლები ანთებულ ლამპას? წყალში რომ სინათლე გამოჩნდება, პატარ-პატარა თევზები ამ სინათლისაკენ გამორბიან, უახლოვდებიან თევზის „ფარანს“ და ამ თევზსაც მეტი რა უნდა—სანსლავს და სანსლავს მათ.

მფრინავი თევზი

ზოგ თევზს აუარებელი მანათობელი წერტილი აქვს და ძალიან ლამაზია, ზოგიც ვერცხლისფერია და უზარმაზარი თვალები აქვს. ამ თვალებს დურბინდს უწოდებენ, და მართლაც დურბინდსა ჰგავს. აბა დააკვირდით სურათს!

ზოგი თევზი კიდევ უფრო უცნაურია—უზარმაზარი პირი აქვს და ბრტყელი გრძელი ბოლო, რომელიც მათრახის მსგავსი კუდით თავდება. ელექტრობა რომ საშიშარია, ეს ყველამ იცის. ელექტრობას შეუძლია ყოველი ცოცხალი არსების მოკვლა, მაგრამ ალბათ, ძალიან გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ, რომ არსებობს ისეთი თევზი, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას კლავს, 1 $^1/_2$.—2 მეტრის მანძილზე თუ მიუახლოვდებიან მას. და იცით რით კლავს?--ელექტრობით. ამ თევზის, ე. წ. ელექტროთევზის ორგანიზმში გამომუშავდება 200-300 ვოლტის ძაბვის ელექტრობა, რითაც იცავს ის თავს მტრებისაგან და საზრდოსაც ამით შოულობს. როდესაც დახარჯავს გამომუშავებულ ელექტრობას, 15--20 წუთის შემდეგ ისევ „დაიტენება“ და კვლავ საშიში ხდება ცოცხალი არსებებისათვის.

არსებობს ისეთი თევზიც, რომელიც ძალიან კარგ მონადირედ ითვლება და თოფიც აქვს, მაგრამ მისი „თოფი“ არის ხვრელი, რომელიც თავზე აქვს, „ტყვია“ კი წყლის წვეთია. დაინახავს ეს თევზი წყლის ზედაპირთან მოფუსფუსე ბუზებს, დაუმიზნებს თავის „თოფს“, ესვრის წყლის წვეთს, მოარტყამს და წყალში ჩააგდებს, მერე მივა და მირთმევს.

საინტერესოა, რას იტყვით, ასეთი რამ რომ გიამბოთ ვინმემ: „ერთხელ ნავით მივდიოდი; უცებ ჩემ წინ აფრინდა მთელი გუნდი თევზებისა, ავიდნენ 6 მეტრის სიმაღლეზე და ფრთების ქნევით გაფრინდნენ 200 მეტრის მანძილზე“. თქვენ ამას ზღაპრად ჩათვლით და იმ კაცს კი ბარონ მიუნჰაუზენს უწოდებთ (ცნობილია, რა დახელოვნებული იყო მიუნჰაუზენი ნადირობის შესახებ ტყუილის ლაპარაკში!), მაგრამ ამ ამბის მთქმელს მატყუარას ვერ უწოდებთ, ვინაიდან ასეთი თევზები მართლაც არსებობს.

თევზი რომელსაც უზარმაზარი პირი აქვს.



თევზი, რომელსაც დურბინდის მსგავსი თვალები აქვს.

მფრინავი თევზი სხვადასხვანაირია. ერთს მერცხალა ეწოდება, მეორეს-ყვიჩილა. ხმელთაშუა ზღვაში ძალიან ხშირად შეხვდებით ყვიჩილებს, რომლებიც მეტისმეტად ლამაზი არიან და მშვენიერი ფრენა იციან. 6 მეტრზე თავისუფლად აფრინდებიან ხოლმე და შორსაც მიფრინავენ 100-200 მეტრზე. ასევე იქცევიან მერცხლებიც, რომლებიც ძალიან მოხერხებულად გაუსხლტებიან ხოლმე მტაცებელ ფრინველებს.

რა აიძულებს თევზებს, რომ წყლიდან ამოფრინდნენ? ვთქვათ, ყვიჩილებს ან მერცხლებს წყალში დაედევნენ დიდი თევზები. აჰა, სადაც არის წამოეწევიან კიდეც. ამ დროს ისინი ჰაერში აფრინდებიან და თავს უშველიან.

მეტისმეტად ლამაზი სანახავია, როდესაც ასეთი თევზების მთელი გუნდი მიფრინავს და თავს ეცემა ზღვის ამთაგორებულ ტალღებს... მისჩერებიხართ და გიკვირთ: ნუთუ მართლა თევზებიაო.

ფრინავი თევზები ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზღვებში იცის, ამერიკასა და აფრიკაში, მაგრამ ხანდახან, თუმც ძალიან იშვიათად, ჩრდილოეთის ზღვებშიაც გვხვდება.



დურბინდის თვალებიანი თევზი გვერდიდან.

◇ ◇ ◇

გ ა ს ა რ თ ო ბ ი



პიონერმა გივიმ ასანთის კოლოფი დაინახა მაგიდაზე. აიღო, გახსნა და ასანთებთან ერთად ჭიანჭველა აღმოჩნდა. დააგდო კოლოფი. ასანთი მიიფანტ-მოიფანტა, ჭიანჭველა კი შიგ მოჰყვა. ხან აქეთ ეცა საბრალო, ხან იქით. ასანთზე ასვლა არ სურს, ასანთებს შუა დაძვრება. დააღწევს თუ არა ჭიანჭველა თავს ამ ასანთებს ისე, რომ არ შეეხოს მათ? როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიჩი და ჭადრაკი

დასვენების წუთებში ვლადიმერ ილიჩ ლენინს ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში. „ეს თამაში მას ისევე გატაცებით უყვარდა, როგორც მარქსს, იგი ყველაზე უფრო შეეფერებოდა მის ფსიქოლოგიას დაუცხრომელი მებრძოლისა, რომელსაც რადაც არ უნდა დაჯდომოდა უნდა გაემარჯვა ამა თუ იმ მოწინააღმდეგეზე“,—წერს ძველი ბოლშევიკი პ. ნ. ლეპეშინსკი თავის წიგნში ილიჩის შესახებ.

ჭაბუკობის წლებში ვლადიმერ ილიჩი შეხვედრია ჭადრაკის დაფასთან რუსეთის ექს—ჩემპიონს, ერთერთ საუკეთესო თეორეტიკოსს—ხარდინს. ხარდინი წინასწარ აძლევდა ხოლმე ამ ახალგაზრდას და თეორიულ ხერხებში ჯერ გამოუწრთობელ პარტნიორს მხოლოდ ერთ პაიკს. ვლადიმერ ილიჩს,—ამბობს დიმიტრი ილიას ძე (ლენინის ძმა),—რასაკვირველია, შეეძლო გასწორებოდა და გაესწრო კიდეც მისთვის, მას რომ სერიოზულად მოეკიდა ხელი საჭადრაკო ლიტერატურისათვის... მას ხომ ახასიათებდა სისტემატურობა, შეუპოვრობა და დიდი გონებრივი ძალა, და რამდენიმე წელში იგი გახდებოდა უდიდესი მოჭადრაკე. ეს უდაოა, მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ისე უყურებდა ჭადრაკს, როგორც გასართობ სათამაშოს“.

ილიჩი მშვენივრად ერკვეოდა მრავალსახოვან საჭადრაკო ხელოვნებაში. იგი თამაშობდა მარტო საჭადრაკო დაფაზე კი არა, არამედ მიწერ-მოწერითაც. ამასთანავე ვლადიმერ ილიჩი ადვილად აწარმოებდა საჭადრაკო ამოცანების ამოხსნას. აი, მაგალითად, სამსვლიანი ამოცანა, რომელიც, დიმიტრი ილიას ძის სიტყვით, ვლადიმერ ილიჩმა სწრაფად ამოხსნა. სინჯეთ მისი ამოხსნა და თქვენ დარწმუნდებით, რომ იგი არც ისე იოლია.

ერთერთ წერილში ძმისადმი ვლადიერ ილიჩი წერს... „რეჩში“ ვნახე დღეს ეტიუდი, რომელიც ერთბაშად ვერ ამოვხსენი და რომელიც მე ძალიან მომეწონა... მდგომარეობა ასეთია;

თეთრები: მg g_3, მb. g^1, s^e_7 და პაიკები h_3 და d_3.

შავები: მg$^e_3$ და პაიკები h_7, d_5 და a_2 (ე. ი. უკანასკნელი ერთი სვლის შემდეგ გადაიქცევა ლაზიერად). თეთრები იწყებენ და იგებენ. მშვენიერი რამაა!“

ამ ცოტა რამისაგან, რომელიც ჩვენ გიამბეთ ილიჩი—მოჭადრაკის შესახებ, ყოველ ახალგაზრდა მოჭადრაკეს შეუძლია გაიგოს ბევრი რამ თავისათვის სასარგებლო. პირველ ყოვლისა—თუნდაც უძლიერესმა გატაცებამ ჭადრაკით არ უნდა იმოქმედოს ცუდად სწავლაზე, მუშაობაზე და სხვა უფრო სერიოზულ სამუშაოზე. ნუ დავფარავთ იმას, რომ ჩვენს შორის არიან კიდევ ისეთი ყმაწვილები, რომლებიც ჭადრაკის გამო ივიწყებენ გლუსუნებსა და თხილამურებს, ზოგჯერ კიდევ სწავლასაც...

მეორე დასკვნა—ჭადრაკს არ უნდა მივუდგეთ ცალმხრივად, არამედ უნდა ვეცადოთ ჩავწვდეთ თამაშთან ერთად საჭადრაკო ხელოვნების სხვა მხარეებსაც—კომპოზიციას და სხვ. ესაა სწორედ სასარგებლო და საინტერესო. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავიდან გვაცილებს ზედმეტად „ჭადრაკის თამაშის აზარტში“ გადავარდნას, რაც აგრეთვე ხშირი მოვლენაა.

წერილით „ლენინი და ჭადრაკი“ ვსარგებლობთ ჩვენს ჟურნალში საჭადრაკო განყოფილების გაკეთებისა. ყოველ მორიგ ნომერში სისტემატიურად მოვათავსებთ მასალებს ჭადრაკის შესახებ. განყოფილების უფლებამოსილი ა. ებრალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორინა „პუშკინი"

◇

1. პუშკინის რომელი ლექსიდან არის სტრიქონები:
„ჩრდილიან ხევში აწყვეტილი არაგვი მორბის...
განგაშებს თერგი გულზვიადი და შემზარავი"?

2. რომელ ლექსში ამბობს პუშკინი:
„ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე"?

3. დაასახელეთ პუშკინის ლექსი, სადაც ესპანელ ქალზე და ესპანეთის ერთერთ მდინარეზეა ლაპარაკი.

4. ვინ იყვნენ დეკაბრისტები და რომელ ლექსში მიმართავს პუშკინი მათ შემდეგი სიტყვებით:
„თავისუფლება წინ დაგიხვდებათ
და ძმები მახვილს ჩაგაბარებენ".

5. რატომ სძულდათ ნიკოლოზ პირველს და მის დამქაშებს პუშკინი?

6. რომელი ლექსიდან არის:
„ღრუბელთ შორის მთვარე ცურავს,
კარში მკვდარი დგას საწყალი;
წვერსა წყალი დაუწურავს,
დარჩენილა ღიად თვალი"?
რის თქმა სურს ამ ლექსით პუშკინს?

7. რომელი ლექსიდან არის:
„უეცრად თითქოს დაჩუმდა დევი—
თერგი ღრიალა, ტალღების მრევი"?

8. რომელ ლექსში ჩანს, რომ პუშკინს სიმღერა მოაგონებდა ხოლმე საქართველოს და მის ცხოვრებას—„სხვა ცხოვრებას და სხვა სილამაზეს"?

9. პუშკინის რომელ ლექსში კლავს მონა (ყმა გლეხი) თავის ბატონს?

10. რომელ ლექსში აღწერა პუშკინმა ბატონყმობის—საშინელება?

11. თუმცა პუშკინს დევნიდნენ, მას სწამდა, რომ „ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი", რომ „ყოველი ერი შემინახავს დანახსოვრებით". დაასახელეთ ეს ლექსი.

12. პუშკინს სწამდა „სხივანთებული ბედნიერების" დადგომა, სწამდა,
რომ „რუსეთს დასტოვებს ძილი და გლოვა" და რომ „თვითმპყრობელობის ნამსხვრევთა გროვას
ჩვენი სახელი დაეწერება".
საიდან არის ზემომოყვანილი ციტატები?

რ ე ბ უ ს ი

შეადგინა მ. ახმეჯელაშვილმა

პიონერი

წელიწადი მეთოთხმეტე

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

1937 წ. № 2—3

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—62—61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

			გვ.
1.	ლეგენდარული მებრძოლი		1
2.	დაუვიწყარი წუთები (მოგონება)		2
3.	თავისუფლების მომღერალი	შ. გვინჩიძისა	3
4.	ჩაადაევს (ლექსი)	ა. პუშკინისა თარგ. პ. იაშვილისა	9
5.	პიონერების ერთი სიმღერა სამშობლოზე (ლექსი)	ირ. აბაშიძისა	10
6.	გმირები	ელ. პოლუმორდვინოვისა და ბ. კიკნაძისა	11
7.	უკვდავი მეცნიერი	გ. ნატროშვილისა	15
8.	ტყის კაცი აფრიკაში	შ. მარიანიშვილისა	19
9.	შვილდისარი (ლექსი)	ს. ჟღენტისა	22
10.	ქვის წვიმები	შ. თაბუკაშვილისა	23
11.	უცნაური თევზები	ნ. ქ.	25
12.	გასართობი		26
13.	ილიჩი და ჭადრაკი		27
14.	ვიქტორინა—„პუშკინი"		28
15.	რებუსი	შედგენილი ასმეტელაშვილის მიერ	28

„პიონერის" № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხები

ვერტიკალურად: 1. ვოროშილოვი. 2. ფეიხტვანგერი. 3. ვაიო. 4. მუნდო ობერერო. 5. კონსტიტუცია. 8. საკო. 11. თბილისი. 12. მალაგა. 14. დანტესი. 17. ბლიუხერი. 18. ონეგინი. 21. ყირგიზეთი. 26. ჩაიკოვსკი. 29. ალკაზარი. 30. „დარიკო" 31. ჭეინე. 32 „ლიტკე.". 35. ტახო. 38. აზია. 39. გობი. 42. ტუხაჩევსკი. 43. ეგოროვი 45. ლიცეი. 47. უატი. 50. ლხასა. 51. ომი. 52. ნილოსი. 53. ფოთი. 54. ლიბიხი.

ჰორიზონტალურად: 6. პუშკინი. 7. მარსი. 9. ბრუნო. 10. „თეთრი". 13. პუშჩინი. 15. რიონჰესი. 16. „ნოპასარან". 19. ვიქტორია. 20. პასიონარია 22. კიკვიძე. 23. კოლხიდა. 24. ბუდიონი. 25. ვალენსია 27. ჩაპაევი. 28 ფუძიამა. 33. ოკა. 34. პირი. 36. მაროკო. 37. ტოლედო. 40. არინა 41. ტელესკოპი. 44. ლიაპიდევსკი. 46. სპარტაკი. 48. ბაირონი. 49. ევერესტი.

კროსვორდი სწორად ამოხსნეს შემდეგმა მკითხველებმა: **ვ. ბაიძემ, თ. შარიქაძემ, შ. ბოჭორიშვილმა, ელ. ალავიძემ** და **მ. კაჭარავამ.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **ელ. აგლაძე**

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების **ი. ქოქიაშვილის** და **ა. გოგოლაშვილის** მიერ

მთავლიტი 10625 ტირაჟი 23000 ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის გულივერი?

ჟურნ. „ზაჟეინიკიდან“.

გულივერი თავისი მოგზაურობის დროს ლილიპუტების ქვეყანაში მოხვდა. მეტად გააოცა პაწია კაცუნები უზარმაზარი ადამიანის დანახვამ.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! გულივერი სადღაც გაქრა! ლილიპუტები გაფაციცებით დაეძებენ მას დურბინდებით და სხვა გამადიდებელი იარაღებით მომარჯვებულნი, უცნაურ გოლიათს კი ვერ პოულობენ.

ეძებეთ, იქნებ თქვენ იპოვოთ!

◇